საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 130 (932) | შაბათი 23 ივლისი, 1994 წელი. | ფასი 15000 კუპონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

პირადად ჩემი და ამერიკელი ხალხის სახელით ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ წერილისათვის, რომლითაც მომილოცეთ ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის 218-ე წლისთავი.

დღეს, როცა ამერიკელები პატივს მიაგებენ თავიანთ უდიდეს მონაპოვარს — თავისუფლებას, ჩვენ კვლავ ვაცხადებთ, რომ ყველაფერს ვიღონებთ, რათა დემოკრატიის იდეალებმა იზეიმონ მთელს მსოფლიოში.

გულწრფელად თქვენი
უილიამ ჯ. კლინტონი,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

დასრულდა აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პირველი ეტაპი

ხუთშაბათს, 21 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭოს სალამოს სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული 937-ე რეზოლუცია. გადაწყდა უშიშროების საბჭოს და დსთ-ს ქვეყნების პირველი ერთობლივი სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება აფხაზეთში.

საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა:

— უშიშროების საბჭოს მიერ 937-ე რეზოლუციის მიღებით დასრულდა აფხაზეთის კონფლიქტის ყოვლისმომცველი მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების პირველი, ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი. ამ ეტაპის დასრულებას, სამწუხაროდ, იმაზე მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ჩვენ მოველოდით. მიუხედავად ამისა, არ შეგვიძლია კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ ის, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ოპერაცია, რომელსაც ამ ეტაპზე რუსეთის შეიარაღებული ძალები ასრულებენ, და მათთან გაეროს მეთვალყურეთა მისიის თანამშრომლობა, უდავოდ დადებითი მოვლენაა კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. რუსეთმა უდიდესი პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე და ის შეუდგა აღებული ვალდებულების შესრულებას. ასევე დიდი პასუხისმგებლობა იკისრა გაერომაც, რომელმაც დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციის მონიტორინგი უნდა განახორციელოს. ამ პირობებში ერთიორად იზრდება გაეროს როლი პროცესში. საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების თანამშრომლობა რეგიონული და პლანეტარული საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობის მეტად ყურადსაღები მაგალითია. ახლა წინა პლანზე გამოდის გაეროს კიდევ ერთი ინსტიტუტი — ლტოლვილთა საქმეთა უმაღლესი კომისრის სამსახური, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოწესრიგების უმთავრესი ეტაპი — იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნება თავიანთ სახლებში. აქამდე ჩატარებული პირველი ეტაპი არის ის მოსამზადებელი სამუშაო, რომელიც იძლევა საფუძველს განვაცხადოთ: მომწიფდა ყველაზე აქტიური პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა. ახლა უნდა დაიწყოს მეორე, ძირითადი ეტაპი — დევნილი მოსახლეობის დაბრუნება აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე. აღარ შეიძლება გაჭიანურებული და განაწამები ხალხის მოთმინების გამოცდა. ეს ძალზე სწრაფად და ორგანიზებულად უნდა მოხდეს. ამისთვის აუცილებელია უსაფრთხოების გარანტიების შექმნა კონფლიქტის მთელს ზონაში. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ და გაერომ უფრო გადამჭრელად უნდა იმოქმედონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პირველ წარმატებულ ეტაპს მოჰყვება საოცარი იმედგაცრუება და არ შედგება ის პრეცედენტი გაეროს და დსთ-ს თანამშრომლობისა, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის პირობებში ჩვენ ყველაზე პერსპექტიულად მიგვაჩნია.

ჩვენ ვენდეთ რუსეთს, ვენდეთ გაეროსაც. გვჯერა, რომ როგორც ერთი, ისე მეორე წარმატებით გაართმევენ თავს უდიდეს პასუხისმგებლობას.

მე კარგად მესმის დევნილთა იმ ჯგუფის, რომელიც ენგურის ხიდთან სამშვიდობო აქციას ატარებს, უკიდურესი გაჭირვება აიძულებს მათ მიმართონ ამ ზომას. მინდა გამოვხატო თანაგრძნობა მათდამი და მივმართო:

— არ გაიძულონ ცალკეულმა ელემენტებმა წამოეგოთ პროვოკაციებზე, დარწმუნებული ვარ შორს არ არის ის დღე, როცა მშვიდობიანი გზით, რუსეთის სამშვიდობო ძალების გარანტიითა და გაეროს მხარდაჭერით დავუბრუნდებით მშობლიურ კერებს.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

მარჩენალი მიწისთვის ზრუნვით

რესპუბლიკის სასურსათო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინეს მინისტრთა კაბინეტის 20 ივლისს გამართულ მორიგ სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციას თავმჯდომარეობით. ინფორმაცია მოწმობს, რომ კომისია სისტემატურად იხილავს პურპროდუქტებით, კარტოფილითა და ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგებასთან, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და მოსავლის აღებისთვის ტექნიკის მომზადებასთან, თესლით, შხამქიმიკატებით, საწვავ-საპოხი მასალებით მეურნეობათა უზრუნველყოფასთან, სამინისტროებისა და უწყებების მიერ პროდუქციის მიწოდების შესახებ სათავრობათშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე სხვა პრობლემებს, რომლებიც რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსშია. კომისიის ინიციატივით მოამზადეს მინისტრთა კაბინეტის 25 დადგენილება და 40 განკარგულება. მისი წინადადებით კომერციულმა სტრუქტურებმა შეიმუშავეს საქართველოში ყაზახეთიდან სასურსათო მარცვლეულის შემოტანის გეგმა.

ერთი სიტყვით, კომისია ბევრ რამეს აკეთებს, თუმცა, როგორც სხდომაზე ითქვა, მან მნიშვნელოვნად მეტი უნდა გააკეთოს, უფრო მეტად უნდა იმუშაოს პრაქტიკულ საქმეებზე, მაგალითად, ჰუმანური სასურსათო დახმარების კონკრეტულ ადრესატამდე მიტანის საკითხზე, გაამკაცროს კონტროლი მარცვლეულის, ფქვილისა და პირველი საჭიროების პროდუქტების მოწოდებისა და მათი განაწილებისადმი.

დღეს საქართველოში სასურსათო პრობლემა ყველას აწუხებს. მაგრამ იგი განსაკუთრებით მწვავედ დგას რესპუბლიკის მთიანი რაიონების მოსახლეობის წინაშე. ცენტრებიდან დაშორებული სოფლების მცხოვრებლებს, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მძიმე ზამთრება მოუწევთ. განსაზღვრა რა ამ რაიონებში საზამთრო პურპროდუქტების, სათბობის და პირველი საჭიროების სხვა საქონლის მარაგის დროული შექმნის ღონისძიებანი, მინისტრთა კაბინეტმა აღნიშნა, რომ მათი განხორციელება მოითხოვს იმ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ძალებისა და რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას, რომლებიც მთელი პასუხისმგებლობით უნდა მიუდგნენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. მათ უნდა გამონახონ რეზერვები და შექმნან [illegible] ფქვილის, მარილის, [illegible] ნაწარმის, ქვანახშირისა და სხვა პროდუქციის მარაგი, დროულად უნდა გადაწყდეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ბურღულეულის, საოჯახო საპნის, ასანთის, ნავთის შეძენის საკითხიც, რომლებიც ასევე უკვე სექტემბერ-ნოემბერში შეტანილი უნდა იყოს ცალკეულ მთიან რაიონებში. ამასთან დაკავშირებით, კონკრეტული დავალებანი მიეცა როგორც სამინისტროებსა და უწყებებს, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, ისე ცეკავშირის გამგეობას, რომელსაც დაეკისრა ამ მიმართულებით მთელი მუშაობის ორგანიზაცია და კოორდინაცია.

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკაში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შემუშავების შესახებ. მისი შემკვეთის ფუნქციები დაეკისრა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს, მთავარი შემსრულებლისა კი — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, რომელსაც დაევალა ამა წლის 1 ოქტომბრამდე წარმოადგინოს ეს პროგრამა.

სხდომაზე მოისმინეს 1993 წელს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში.

მიწის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხთა პაკეტში განიხილეს, თუ როგორ იყენებენ მიწებს და როგორ წარმოებს მათი აღრიცხვა. მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა რესპუბლიკის მიწის ბალანსი 1994 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, განისაზღვრა თბილისის მერიასა და დედაქალაქის მიმდებარე სოფლებს შორის მიწის რეფორმის დროს წარმოქმნილ პრობლემურ საკითხთა მოწესრიგების ღონისძიებანი. მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება გარდაბნის რაიონის ვახტანგისის მეთესლეობის მეურნეობის მიწებიდან გამოიყოს 40 ჰექტარი თბილისსა და რუსთავში მცხოვრები გერმანიის ასოციაცია „აინუნგის" წევრთა 200 ოჯახისათვის.

როგორც ცნობილია, ახლახანს შეიქმნა სამთო-მეტალურგიული მრეწველობის სახელმწიფო კონცერნი. მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა მისი დებულება, კონცერნის პრეზიდენტად დანიშნულია რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი **გურამ ქამაკაშვილი**, სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ჩინეთის რესპუბლიკაში საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის შექმნის შესახებ, განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხები.

ედუარდ ედიბერიძე.

პირველი სამშვიდობო ოპერაცია აფხაზეთში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად!

გაეროს უშიშროების საბჭო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის გარანტიას და მის სათანადო საერთაშორისო უზრუნველყოფას

21 ივლისს, დღის პირველ საათზე დასრულდა გაეროს უშიშროების საბჭოს მორიგი არაფორმალური, დახურული კონსულტაციები აფხაზეთის რეგიონის საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც საფრანგეთის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის მიერ ერთობლივად შემუშავებული რეზოლუციის ვარიანტი პროექტის სახით ჩამოყალიბდა და მომზადდა სხდომაზე განსახილველად.

სხდომა მიმდინარეობდა პაკისტანის წარმომადგენლის ბატონ ჯიმშიდ მარკერის თავმჯდომარეობით და სამი საათი გასტანა.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე 14 ქვეყნის დელეგაციიდან სიტყვა წარმოთქვა 12-მა (არ ესწრებოდა რუანდის, ხოლო ტრადიციისამებრ არ გამოსულა ჩინეთის წარმომადგენელი).

მეგობარი ქვეყნების ჯგუფის სახელით რეზოლუციის პროექტი წარმოადგინა გერმანიის ელჩმა გაეროში დეტლევ გრაფ ცუ რანცაუმ, რომელიც საბჭომ მოიწვია სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.

თავიანთი ქვეყნების მთავრობათა პოზიცია საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე და რეზოლუციასთან დაკავშირებით გამოხატეს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, არგენტინის, რუსეთის, ახალი ზელანდიის, ბრაზილიის, ჩეხეთის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, ომანის, ნიგერიის და პაკისტანის მისიათა ხელმძღვანელებმა.

განხილვისას განსაკუთრებული ხაზგასმით ითქვა სამშვიდობო ოპერაციაში საერთაშორისო ორგანიზაციისა და რეგიონული გაერთიანების ერთობლივი მონაწილეობის უპრეცედენტობის ფაქტზე და იმედი გამოითქვა ამ თანამშრომლობის პოზიტიურად განვითარების თაობაზე.

ალსანიშნავი იყო საქართველოს პრობლემათა სრული გაგება, მისი ხელმძღვანელობის იმ ძალისხმევისა და პოზიციის მხარდაჭერა. რომელიც წლეულს მარტში ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიერ უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას იქნა ჩამოყალიბებული.

ამის გათვალისწინებით ფაქტობრივად ყველა დებულება და პირობა, რომელიც ხანგრძლივი კონსულტაციებისას საქართველოს წარმომადგენლობის მიერ დეტალურად განიხილებოდა საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან, ჰუმანიტარული ქვეყნების ელჩებთან, გაეროს ხელმძღვანელობასთან, პოლიტიკური, სამშვიდობო ოპერაციების ჰუმანიტარულ საკითხთა დეპარტამენტებთან, აისახა როგორც გამოსვლებში, ასევე რეზოლუციაში.

განიხილა რა არსებული მასალები, გენერალური მდივნის ინფორმაცია, უშიშროების საბჭომ კვლავ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი:

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის გარანტიას და მის სათანადო საერთაშორისო უზრუნველყოფას;

ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა სრული, უპირობო და ღირსეული დაბრუნებისათვის სათანადო პირობების შექმნის უზრუნველყოფის აუცილებლობას;

სამშვიდობო პროცესების გაღრმავებისა და სტაბილურობის დამკვიდრებისათვის გაეროს ძალისხმევის გაძლიერების საჭიროებას.

ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს ტერიტორიაზე გაეროსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციების დანიშნულება — უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების რეალიზაცია.

აღინიშნა, რომ შემდგომ ეტაპზე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გაეროს მონაწილეობის კიდევ უფრო გაფართოება და გადაზრდა საერთაშორისო სრულმასშტაბიან ოპერაციაში მრავალეროვანი სამხედრო შენაერთების მონაწილეობით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გაეროს მეთვალყურეთა მიერ ოპერაციის მიმდინარეობაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პუნქტის შესრულებაზე მკაცრი კონტროლის აუცილებლობას და ამის თაობაზე უშიშროების საბჭოს სისტემატური ინფორმაციების საკითხს, რაც საბჭომ რეზოლუციით შეიტანა კიდეც მეთვალყურეთა მანდატში.

უშიშროების საბჭომ მაღალი შეფასება მისცა აფხაზეთში მშვიდობის დასამყარებლად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრთა ძალისხმევას, კერძოდ რუსეთისა და თანამეგობრობის სხვა წევრების შენატანს ამ საქმეში; კმაყოფილება გამოითქვა საერთაშორისო მისიისა და თანამეგობრობის ძალების კოორდინირებულ მოქმედებასთან დაკავშირებით. საბჭომ აუცილებელ პირობად დააყენა სამხედრო ოპერაციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განხორციელების უზრუნველყოფა; მიმართა ლტოლვილთა საკითხებზე გაეროს უმაღლეს კომისარს, რათა უზრუნველყოს რეგიონის მოსახლეობის დაბრუნების თაობაზე ოთხმხრივი ხელშეკრულების რეალიზაციის ყოველმხრივი ხელშეწყობა.

საერთაშორისო მეთვალყურეთა მისიის შემადგენლობა 300 კაცამდე გაიზრდება. მათ შორის რეზოლუციის თანახმად, სამხედრო შენაერთი 136 ოფიცრით იქნება წარმოდგენილი. მისიის მანდატი ექვსი თვით გაგრძელდა.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობის საერთაშორისო ნებაყოფლობითი ფონდის დაწესების შესახებ და მიმართვა ამ ფონდში შენატანების გაკეთების თაობაზე. კვლავ გამახვილდა ყურადღება მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე.

საბჭომ დაადგინა აფხაზეთის რეგიონში არსებული ვითარება მუდმივად იქონიოს აქტიური განხილვის საგნად.

გაეროს მისიაში დამატებითი 10 ოფიცრის შეყვანის მზადყოფნის შესახებ განაცხადა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა. გენერალურ მდივანს ოპერაციაში მონაწილეობის მზადყოფნა უკვე დაუდასტურეს ინდონეზიის, კორეის რესპუბლიკის, საფრანგეთის, ფინეთის, ურუგვაის მთავრობებმა, რაზედაც ითხოვს საქართველოს ხელმძღვანელობის თანხმობას.

დასმული ამოცანის თანახმად საქართველოს წარმომადგენლობა განაგრძობს ინტენსიურ კონსულტაციებს კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო დასწრების გაძლიერებისა და ლტოლვილთათვის მაქსიმალური დახმარების მოზიდვის თვალსაზრისით.

საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობა გაეროსთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მაღალი შეფასება მისცა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო საქმიანობას აფხაზეთში და საფუძველი ჩაუყარა ამ რეგიონში მშვიდობის მხარდაჭერის ერთობლივ ოპერაციას

გაერო, 22 ივლისი. (იტარ-ტას-საქინფორმი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო მაღალ შეფასებას აძლევს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძალების მოქმედებას აფხაზეთში მშვიდობის დაცვისათვის და განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო წვლილს. ეს ნათქვამია უშიშროების საბჭოს 937-ე რეზოლუციაში, რომელიც ერთხმად მიიღეს ხუთშაბათს სალამოს გამართულ საბჭოს სხდომაზე. ამ რეზოლუციის პროექტი მოამზადეს გერმანიამ, რუსეთის ფედერაციამ, დიდმა ბრიტანეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საფრანგეთმა.

„აღიარებს რა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების შეყვანა ამ რაიონში ეფუძნება კონფლიქტის მონაწილე მხარეთა თხოვნასა და თანხმობას... უშიშროების საბჭო მაღალ შეფასებას აძლევს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრთა მეცადინეობას, რომლის მიზანია მხარი დაუჭირონ ცეცხლის შეწყვეტას აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა), და ხელი შეუწყონ ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებას საკუთარ სახლებში 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად. უშიშროების საბჭო მიესალმება რუსეთის ფედერაციის წვლილს და დადასტურებას, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა წევრებიც შეიტანენ წვლილს სამშვიდობო ძალებში მხარეთა თხოვნის პასუხად", — ნათქვამია რეზოლუციაში.

უშიშროების საბჭო აღნიშნავს, „თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროგრესს მოლაპარაკებაზე, რომელიც მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ფედერაციის დახმარებით... რომ მიღწეული იყოს კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგება, მათ შორის გადაწყდეს საკითხი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ". განსაკუთრებით აღინიშნა, რომ „ეს პროცესი საბჭოს შესაძლებლობას მისცემს კვლავ განიხილოს საკითხი აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შესაძლო განლაგების თაობაზე".

ამასთან დაკავშირებით უშიშროების საბჭომ დაადგინა გაუფართოოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიას მანდატი. ახალი მანდატის შესაბამისად ამ მისიას ეკისრება შემდეგი ამოცანები: მეთვალყურეობა გაუწიოს ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ შეთანხმების შესრულებას და გამოიძიოს ამ შეთანხმების დარღვევები; მეთვალყურეობა გაუწიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მოქმედებას; აწარმოოს პატრულირება უშიშროების ზონასა და შეიარაღების შეზღუდვის ზონაში; დაუწესოს კონტროლი მძიმე საბრძოლო ტექნიკის დაცვის რაიონებს; კოდორის ხეობიდან საქართველოს ჯარების გაყვანას; განახორციელოს კოდორის ხეობის რეგულარული პატრულირება.

ზემოთ აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად, უშიშროების საბჭომ დაადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიის რიცხვი გაზარდოს 136 სამხედრო მეთვალყურემდე შესაბამისი სამოქალაქო პერსონალით. იმასთან დაკავშირებით, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები აფხაზეთში შედიან ექვსი თვის ვადით, უშიშროების საბჭომ დაადგინა აღნიშნულ მისიას მანდატი გაუგრძელოს ასეთივე ვადით 1995 წლის 13 იანვრამდე.

უშიშროების საბჭომ ცნობად მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის განზრახვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნოს წერილი საქართველოში მეთვალყურეობის მისიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების შესაბამისი როლისა და მოვალეობების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საბჭო სთხოვს საქართველოში მეთვალყურეთა მისიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების სარდლებს „ადგილზე შეათანხმონ და განახორციელონ შესაბამისი მორიგებანი... ამ მისიასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებს შორის შესაბამისი ამოცანების განხორციელებაში კოორდინაციისა და თანამშრომლობის მიზნით".

რეზოლუცია შეიცავს თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი „დააფუძნოს ნებაყოფლობითი შენატანების ფონდი ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდასაჭერად, აგრეთვე მოწოდებას სახელმწიფოებისადმი ფონდში შეიტანონ თანხები.

რუსეთმა მადლობა მოახსენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს იმისათვის, რომ მხარი დაუჭირა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძალისხმევას აფხაზეთში

გაერო, 22 ივლისი (იტარ-ტას-საქინფორმი). რუსეთი მადლობას მოახსენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს იმისათვის, რომ მხარი დაუჭირა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძალისხმევას აფხაზეთში და გადაწყვიტა შექმნას ნებაყოფლობითი შენატანების საერთაშორისო ფონდი ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ ქართველ-აფხაზთა შეთანხმების მხარდასაჭერად. ეს განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა იური ვორონცოვმა ხუთშაბათს სალამოს გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

„მნიშვნელოვანი და კარგად გაწონასწორებული დოკუმენტი" უწოდა ი. ვორონცოვმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე ერთსულოვნად მიღებულ 937 რეზოლუციას, რომელიც იწონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმიანობას აფხაზეთში და რომელიც საფუძველს უყრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და თანამეგობრობის ერთობლივ ოპერაციას ამ რეგიონში. „უდავოა, რომ ეს რეზოლუცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგებისათვის ხელშეწყობის შემდგომ მრავალმხრივ ღონისძიებებში", — განაცხადა რუსეთის წარმომადგენელმა.

მან შემდეგ თქვა: „უდავოა რეზოლუციის მნიშვნელოვანი მომენტია უშიშროების საბჭოს მკაფიოდ გამოხატული პოზიტიური დამოკიდებულება უკვე დაწყებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ოპერაციისა და თანამეგობრობის სახელმწიფოთა ძალისხმევისადმი, რომლის მიზანია ვითარების სტაბილიზაცია კონფლიქტის რაიონში და ლტოლვილთა პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრა. მადლობას მოვახსენებთ უშიშროების საბჭოს იმისათვის, რომ მხარი დაუჭირა რუსეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მეცადინეობას. როგორც უკვე არაერთგზის ვთქვით, ასეთი მხარდაჭერა სჭირდება ყველას, და უწინარეს ყოვლისა საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთის მხარეს".

აქტუალური ინტერვიუ

ჩვენ გადავრჩებით!..

სადღეისო საჭირბოროტო სოციალურ და საყოფაცხოვრებო პრობლემებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე

გაუმჯობესდება რამე? — ამ კითხვით იწყებენ ადამიანები დღეს ერთმანეთთან საუბარს. პასუხი, რა თქმა უნდა, ინდივიდუალურია, გააჩნია ვინ არის მოპასუხე, ჭეშმარიტი მეურნე და მოჭირნახულე თუ შორიდან მომზირალი ობივატელი.

[illegible] იმაზე ადვილი არაფერია, გალატაკებულ კაცს [illegible]: ეს რა უბედურ დღეში ჩაგაგდო მთავრობამ და ხელისუფლებამ, რა ვაი-უშველებელია ჩვენს თავსო. გაჭირვებულის თვალში ამგვარი „ჭირისუფლობა" ერთობ მომგებიანი პოზაა, მაგრამ რის მაქნისია?

არავინ მალავს: ცუდ დღეში ვართ. ცალკე შიმშილი, და სიღატაკე გვასწორებს მიწასთან, ცალკე ფეხქვეშ გათელილი უფლებები და ღირსება გვიკლავს გულს, ვიცი, სულის რა სიმდიდრე, რა სიმტკიცეა საჭირო, რომ დღეს არ წაიჩოქო, არ გაიბზარო და მომავლის რწმენა შეგრჩეს. მაგრამ თუ გულისყურს ძალად არ დავიხშობთ და თვალს განგებ არ დავხუჭავთ, კეთილი მერმისი ჰორიზონტზე ჩანს. ჩვენი ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ.

ნაბიჯ-ნაბიჯ, მძიმე-მძიმედ, ტკივილითა და ცრემლით, მაგრამ წ— მაინც წინ.

ხელისუფლებისა და მთავრობის მეხოტბე-მგალობელი არა ვარ, მაგრამ არც იმათი თანამეინახე გახლავართ, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო ხელი რომ ჩაუქნევიათ და მარტო წუწუნით იოხებენ გულს, სულ ვიღაცისაგან, მაინც და მაინც სხვისგან ელიან „ნაგვის გატანას", სულ სხვას ადანაშაულებენ, ის კი ავიწყდებათ, რომ ყველა ერთად უნდა ვიყოთ ქვეყნის მშველელიც, მომვლელიცა და აღმშენებელიც...

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის სამუშაო დღის ყოველი წუთი სულ „მიხხალ-მიხხალ" არის არწყული (თუმცა მიდი და გაიგე დღე-ღამის ოცდაოთხი საათიდან რამდენია მისთვის სამუშაო და რამდენი „თავისუფალი"), მან მაინც გამონახა დრო ჩემთან დღევანდელობის ყველაზე საჭირბოროტო — საყოფაცხოვრებო საკითხებზე სასაუბროდ.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის დემოკრატიული პრინციპების, ობიექტურობისა და გულწრფელობისა ღრმად მწამს და ამიტომაც ჩვენს გაუსაძლის ცხოვრებაზე, მოკრძალებით, მაგრამ მაინც თავისუფლად ველაპარაკე.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ დღეს ჩვენში ბატონობს კაპიტალიზმის მთავარი კანონი „ადამიანი ადამიანისთვის მგელია"? ეს ხომ ადამიანის უფლებათა შელახვაა? რა უნდა დავუპირისპიროთ მას?

— გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის, უაღრესად რთული, მწვავე პოლიტიკური, სოციალური, კრიმინოგენული პრობლემებით, მრავალი ადამიანის ტრაგიკული ბედითა და მთლიანად საზოგადოების დრამატიზმით აღსავსე ყოფის პირობებში ამგვარი კითხვის დასმა ბუნებრივი და კანონზომიერია. თუმცა მასში უეჭველად ჩანს იმ იდეოლოგიური შტამპებისა და სტერეოტიპების კვალი, რითაც შვიდი ათეული წელიწადი ვებრძოდით ისეთ ეკონომიკურ წყობას, რომელიც საკუთრების ხელშეუხებლობას, კერძო სამეურნეო ინიციატივის თავისუფლებასა და კონკრეტულ გარემოს ემყარება.

დღეს უკვე საკამათო აღარ არის ამგვარი ეკონომიკის აბსოლუტური უპირატესობა საზოგადოებრივ, უფრო სწორად, სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებულ მეურნეობასთან შედარებით. ეს უპირატესობა, უწინარეს ყოვლისა, შეუდარებლად მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობითა და ამ საფუძველზე მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისა და პიროვნულ უფლებათა დაცვის ძლიერი მატერიალური საფუძვლით გამოიხატება.

თანამედროვე დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც ჩვენთვის ამ მიმართებით ეტალონებს წარმოადგენენ, ცხოვრების დღევანდელ წესსა და სტანდარტებთან ერთბაშად არ მისულან. ეს იყო მრავალი თაობისათვის მტკივნეული და ეკლიანი გზა. სწორედ ამ გზაზე ჩამოყალიბდა „მგლური კანონები", რომლის სიმკაცრესაც საკუთარ თავზე გრძნობს დღევანდელი საქართველო, და არა მარტო საქართველო, პრაქტიკულად ყველა პოსტკომუნისტური ქვეყანა. მაგრამ განსაკუთრებით მკაცრი ჩვენთვის აღმოჩნდა. დასამალი არ არის, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის გზაა, რომელმაც ჩიხში შეიყვანა ჩვენი ეკონომიკა და სახელმწიფოებრიობა — გზა რუსეთთან, უახლოეს მეზობელ ქვეყანასთან სახელმწიფოებრივი დაპირისპირებისა და სამეურნეო იზოლაციისა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ გზაზე მხოლოდ საკუთარი სურვილით არ წავსულვართ, სეპარატისტულ მოძრაობაზე დაყრდნობილი იმპერიული ძალები აქტიურად გვიბიძგებდნენ ამ მიმართულებით, რომ მათთვის სასარგებლო პოლიტიკურ-ეკონომიკური ფონი ჩამოყალიბებულიყო. დიდხანს რომ არ შევჩერდეთ ჩვენთვის ურთულეს აფხაზეთის პრობლემასა და ომის უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე, რომელთა მოგვარებაზეც ახლა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მთელი ძალისხმევაა მიმართული, საქართველოსთვის უაღრესად არახელსაყრელი გამოდგა რუსეთსა და ყოფილ სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ტრადიციული და, როგორც გამოირკვა, ჯერჯერობით არაალტერნატიული ეკონომიკური კავშირების მოშლა.

ძალზე რთული აღმოჩნდა სტრუქტურულ და სისტემურ რეფორმათა პირველი შედეგები ამ რეფორმათა არცთუ თანამიმდევრული და წინასწარ ნაკლებად გააზრებული გატარების შედეგად. მიწები გლეხებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შეუქმნელად დარიგდა. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაცია კი ეკონომიკური საზღვრების დაუცველად განხორციელდა. მოუმზადებლად, იმპულსურად შემოვიღეთ ეროვნული ბანკის კუპონი. ქმედითი საბანკო მექანიზმისა და წესრიგის უქონლობის პირობებში, ბიზნესისათვის მხარდაჭერის მოტივებით, გავანიავეთ საკრედიტო რესურსები. აღარაფერს ვამბობ მეწარმეობისა და სამეურნეო საქმიანობისათვის მეტად არახელსაყრელ კრიმინოგენულ სიტუაციებსა და სამოქალაქო ომის თანმხლებ მოვლენებზე.

ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ადამიანთა უფლებების, მათ შორის სიცოცხლისა და ღირსეული ცხოვრების უფლების დაცვა ყოველთვის ვერ ხერხდება. მაგრამ, ცხადია. ეს არავის ამართლებს, უწინარეს ყოვლისა, ხელისუფლებას. ამიტომაც მთელი ჩვენი ძალისხმევა მიზნად ისახავს ვითარების სტაბილიზაციას, რისი წინაპირობაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ლტოლვილების დაბრუნება, დამნაშავეობასთან ბრძოლაში პირველი წარმატებების დამკვიდრება, რუსეთთან, დსთ-სა და სხვა ქვეყნებთან ტრადიციული სამეურნეო კავშირების ახალ საფუძველზე აღდგენა-განვითარება, უცხოეთიდან არა მარტო ჰუმანური დახმარების მიღება, არამედ დასავლური კაპიტალის მოზიდვის საფუძველზე მათთან თანასწორუფლებიანი პარტნიორობის დამყარება, და, რაც მთავარია, რეფორმის დაჩქარება გახლავთ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე იდგმება. ავიღოთ თუნდაც პრივატიზაციის დაჩქარების ღონისძიებანი, რომლებიც დღეისათვის უმოქმედო საწარმოების თავიდან მოცილებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ კოლექტივებისა და პროფესიონალთათვის საკუთრებაში გადაცემას, რათა მათ შეძლონ საწარმოო პოტენციალის ამოქმედება და ამ საფუძველზე ქვეყანამ იგრძნოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შერბილება. ამას ემატება სამეურნეო საქმიანობაში ბანკების მონაწილეობა, სამომხმარებლო კო-

(დასასრული მე-3 გვ.)

საპროტესტო აქცია რუხთან

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხთან გრძელდება გალიდან იძულებით ადგილნაცვალ პირთა საპროტესტო აქცია. მისი მონაწილეები მოითხოვენ გალში დაბრუნების პროცესის დაჩქარებასა და იმ ტერორისტული ფაქტების აღკვეთას, რომლებიც აფხაზთა მხრიდან დღესაც გრძელდება.

ჩრდილოეთი ზონის სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალ-მაიორი ზარუბიცკი შეხვდა იძულებით გადაადგილებულ პირთა წარმომადგენლობას. ზარუბიცკის თქმით, სამხედროებმა თავიანთი მოვალეობა ამ ეტაპზე უკვე შეასრულეს. პოლიტიკოსების გადაწყვეტილებამდე ისინი ვერ გასცემენ ბრძანებას იძულებით ადგილნაცვალ პირთა გალში დაბრუნების თაობაზე. რაც შეეხება ტერორისტულ ფაქტებს, ყველაფერს გააკეთებენ მათი გამოძიებისა და აღკვეთის მიზნით.

თამარ მოლაშვილი.

ამერიკელი ჩვენს სასამართლოში

1994 წლის 21 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ადამიანის უფლებათა ფონდის პროგრამის ვიცე-პრეზიდენტი პოლ უიკი.

სტუმარი შეხვდა და ესაუბრა უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობას, დაინტერესდა კონსტიტუციური მშენებლობისა და სასამართლო რეფორმის პრობლემებით, მოსამართლეთა მუშაობის ორგანიზაციითა და წესით. მხარეებმა ისაუბრეს იმ სირთულეების დაძლევის აუცილებლობის თაობაზე, რაც აფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ადამიანის უფლებების განუხრელ დაცვას. გამოიკვეთა აზრი, რომ ორმხრივი თანამშრომლობის გააქტიურება უთუოდ ხელს შეუწყობს საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი იურიდიული პრაქტიკის დამკვიდრებას. ამის შესაბამისად განიხილეს თბილისში ადამიანის უფლებების დაცვის ქართულ-ამერიკული ცენტრის შექმნის შესაძლებლობა.

ბატონი პოლ უიკი დაესწრო სისხლის სამართლის კონკრეტული საქმის განხილვას.

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10):

1. 161-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 161. უხარისხო პროდუქციის გამოშვება

უხარისხო პროდუქციის სასაქონლო ბაზარზე გამოშვება ან მომხმარებლისათვის ასეთი პროდუქციის სხვაგვარი რეალიზაცია, თუ მას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე და გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორი წლამდე, ან ჯარიმით შრომის ანაზღაურების ხუთას მინიმალურ ოდენობამდე".

2. 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში სიტყვების „(137-ე მუხლი)" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „უხარისხო პროდუქციის გამოშვება (161-ე მუხლი)".

II. 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხლი 11):

126-ე მუხლის მეოთხე ნაწილს ციფრების „160¹"-ის შემდეგ დაემატოს ციფრები „161-ე".

III. 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 421):

1. 158-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 158. სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენება

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, რეგისტრირებული სათირმო სახელწოდების ან საქონლის მარკირების უკანონო გამოყენება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

2. 208-ე მუხლში ციფრების „156-ე" შემდეგ დაემატოს ციფრები „158-ე".

3. 239-ე მუხლში ციფრების „153-ე" შემდეგ დაემატოს ციფრები „158-ე".

4. 252-ე მუხლის მეორე ნაწილში ციფრების „156-ე" შემდეგ დაემატოს ციფრები „158-ე".

5. 262-ე მუხლის მეორე ნაწილში ციფრების „156-ე" შემდეგ დაემატოს ციფრები „158-ე".

IV. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი 1994 წლის 30 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
დადგენილება
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ დადებული შეთანხმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ დადებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობოს უკრაინის მხარეს ამ დადგენილების პირველ პუნქტში მითითებული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის საჭირო შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურის დასრულების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ო. ფაცაცია.

იუნესკო დახმარებას გამოუყოფს ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორიას

1987 წელს იუნესკოს მიერ თბილისში გამართული სემინარის რეკომენდაციების შედეგად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნა ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორია, რომლის მოწყობილობა-აღჭურვილობის შეძენა შესაძლებელი გახდა იუნესკოს ფინანსური დახმარებით.

აღსანიშნავია ქართული ლაბორატორიის ნაყოფიერი საქმიანობა. როგორც სამეცნიერო კვლევის განხორციელებაში, ისევე ახალგაზრდა სპეციალისტების [illegible]ელოვნებაში, სხვადასხვა სემინარების მოწყობაში და ა. შ. [illegible], ამჟამად სავალუტო სახსრების უქონლობის გამო, შეუძლებელია მოძველებული ტექნიკის შეცვლა.

ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით, საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა იუნესკოსთან გოჩა ჩოგოვაძემ თხოვნით მიმართა იუნესკოს შესაბამის სამსახურს, რომ თბილისის ლაბორატორიას გამოეყოს სახსრები თანამედროვე მოწყობილობა-აღჭურვილობის შესაძენად.

თხოვნა გაგებით იქნა მიღებული და უახლოეს მომავალში გამოიყოფა სათანადო დაფინანსება.

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა იუნესკოსთან.

მოვლენის ბოლოსიტყვა

„ქმნა მართლისა სამართლისა..."

რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში დამთავრდა მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული — პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი. დაიხურა ეს შესანიშნავი მუსიკალური დღესასწაული, ახალგაზრდობის ნიჭისა და შემოქმედებითი პოტენციალის ფართომასშტაბიანი დათვალიერება. ამჯერად მევიოლინეთა კონკურსის ჟიურის წევრად გერმანიიდან მოწვეული იყო ჩვენი სახელოვანი მუსიკოსი, საქართველოს კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლიანა ისაკაძე, რომელიც რამდენიმე წელიწადია ქალაქ ინგოლშტადტში მოღვაწეობს.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტისათვის გახდა ცნობილი, ქალბატონი ლიანა კმაყოფილი დარჩა ახალგაზრდა მუსიკოსთა შესრულების დონითა და საერთოდ, კონკურსის მიმდინარეობით, ერთი გარემოება რომ არა: ლიანა ისაკაძე არ დაეთანხმა ჟიურის გადაწყვეტილებას გაეყოთ მეორე პრემია რუსეთის წარმომადგენელ ჩებოტარევასა და ამერიკელ დენისერკოს შორის. (პირველი პრემია საერთოდ არ გაცემულა). ამერიკელი მევიოლინეს შესრულება, ქალბატონ ლიანას შეფასებით, გამოირჩეოდა ბრწყინვალე არტისტიზმითა და შინაგანი სიღრმით. მართალია, მას ჟიურიმ მიანიჭა სპეციალური პრიზები — „საუკეთესო შესრულებისათვის" და „საუკეთესო ინტერპრეტაციისათვის", მაგრამ ამით ვერ მიიჩქმალა ის ფაქტი, რომ ამერიკელი მევიოლინე სავსებით იმსახურებდა პირველ პრემიას.

ლიანა ისაკაძემ ხელი არ მოაწერა ჟიურის გადაწყვეტილების ოქმს და კონკურსის დახურვის ცერემონიაში მონაწილეობა არ მიიღო. ქართველი მუსიკოსის ამ ჟესტს დიდი მოწონებით შეხვდა ობიექტური მოსკოველი მსმენელი და მსოფლიოს პრესამ ფართოდ გააშუქა მისი სამართლიანი პოზიცია.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. დიდი რუსთაველი ხომ გვმოძღვრავდა „ქმნა მართლისა სამართლისაო..." ეს ადამიანთა უზენაესი ვალია.

მედიცინის სიახლენი

ინტერფერონს იაპონელში თვითმკვლელობამდე მიჰყავს

იაპონიის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შარშან სულ ცოტა 12-მა ადამიანმა მოიკლა თავი დეპრესიულ მდგომარეობაში ყოფნისას, რაც გამოიწვია ინტერფერონის ახალმა სახეობამ.

ოფიციალური მონაცემებით, 1987 წლის ივლისიდან 1993 წლის დეკემბრამდე კიდევ 20 პაციენტი ეცადა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე პრეპარატ ინტერფერონ-ალფას მიღების შემდეგ. ეს პრეპარატი კიბოსა და ჰეპატიტის სამკურნალოდ იხმარება.

მეცნიერებმა უნდა დაადგინონ — მართლა არის თუ არა უშუალო კავშირი წამლის გამოყენებასა და თვითმკვლელობებს შორის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში იაპონელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ პაციენტს დეპრესია სწორედ ინტერფერონმა დამართა.

შარშან ამ წამალს 100 ათასი იაპონელი იღებდა.

იაპონიაში ექიმებს ხშირად ბრალად სდებენ, რომ ისინი ძალიან ბევრ წამალს უწერენ პაციენტებს და ამით თვითონ სარგებლობენ. აკრიტიკებენ მთავრობასაც სამედიცინო მრეწველობისადმი (განსაკუთრებით ახალი პრეპარატის დანერგვისას) სუსტი კონტროლის გამო.

ამას იუწყება გაზეთი „იზვესტია".

რეპლიკა

ეჰ, გიორგი, არამართალო!

პოპულარულ სატელევიზიო პროგრამა „საღამო მშვიდობისას" შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მომზადებულ გადაცემაში „კორონიუსი" პოპულისტურად გამოვიდა მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, ბატონი გიორგი მაისურაძე.

სანამ ძირითად საკითხს შევეხებოდე, ვიტყვი: ეს გამოსვლა იმის დასტურია, რომ ტელევიზიას ცენზურა არა აქვს (რასაც ხშირად სწამებენ ხოლმე მას), ტელევიზია ნამდვილად არის დემოკრატიის ტრიბუნა, მართალი უნდა, სიმართლეს იტყვის, ტყუილი უნდა — ტყუილს.

მოქალაქეთა კავშირზე ბატონი ედუარდ შევარდნაძე, ამ პარტიის თავმჯდომარე, დიდ იმედს ამყარებს, ბატონი გიორგი კი, მისი ერთ-ერთი მოადგილე, შაპსეივაპსეით იწყებს:

„პირდაპირ ვიტყვი, ბევრ რამეში მოვტყუვდი, არა იმიტომ, რომ ვიღაცამ მომატყუა, ჩემი თავის წინაშე, ბევრ რამეში, მე უნდა მცოდნოდა, რომ ეს პოლიტიკური ფიგურები, ვინც ერთიანდებოდა, ან ის ხალხი, ვისაც ვიცნობდი, რამდენად შეძლებენ ამ იდეის მიღებას, განხორციელებას, რამდენად მისაღები იქნებოდა ლიბერალურ დემოკრატზე და ეს ახალი პიროვნება, ცივილიზებული აზროვნება, ისიც უნდა გამეთვალისწინებინა რამდენად შეძლებდნენ ამის განხორციელებას, შევარდნაძე მართლა ნოვატორია, მე ისევ ვიმეორებ ამას..." (არ იფიქრო მკითხველო, რამეს განზრახ ვეშმაკობ, სტილი დაცულია).

ბატონო გიორგი! ამ ცოტა ხნის წინათ დიდი მგზნებარებით იღვწოდით მოქალაქეთა კავშირში და სოლიდური თანამდებობაც გიკავიათ ახალგაზრდა კაცს და ასე მალე რატომ მოგიწყენიათ? ფიქრობთ, რომ ეს გემი უკვე იძირება და თავს უნდა უშველოთ? მიმაჩნია, რომ მოქალაქეთა კავშირში ბევრი პატიოსანი მამულიშვილია და ეს პარტია წვლილს შეიტანს საერთო საქმეში, და ის კაციც, ვინც ნოვატორად მიგაჩნიათ, სწორედ იმ ძალებს ეყრდნობა, ასე აუგად რომ მოიხსენიებთ. მკითხველი დამეთანხმება, ის ნოვატორი კაცი თქვენზე გამოცდილია და თუ რაიმე მსგავსს დაინახავდა, პირველი შემოკრავდა განგაშის ზარს.

ასე რომ, არ ხართ მართალი, ბატონო გიორგი!

მოქალაქეთა კავშირის წევრი არ გახლავართ (ამ თემაზე საუბარს, ალბათ, თუ საჭიროდ ჩათვლის, თვითონ მოქალაქეთა კავშირი გააგრძელებს), მე ძირითადად ის მეტკინა, რაც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტზე ბრძანეთ: „...წარმოიდგინეთ რა დონეზეა საზოგადოება და ჩვენი ცნობიერება, რომ პარლამენტში იურიდიულ კომისიას გამოაქვს დადგენილება, რომ ქალს აეკრძალოს მოკლე კაბით და შარვლით სიარული, ეს რაღაცა პარადოქსია". ბატონო გიორგი, რა პარადოქსადაც უნდა მოგეჩვენოთ, გეტყვით, რომ პარლამენტის წევრთა დიდი უმრავლესობა (პოლიტიკური უმრავლესობა არ მაქვს მხედველობაში) არც მოკლეკაბიანი და არც შარვლიანი ქალების წინააღმდეგი არ არის. ოღონდ სად და როდის, ამაზეა ლაპარაკი. დადგენილების პროექტში მართლაც იყო ნათქვამი პარლამენტის დროებით რეგლამენტში ცვლილებების შეტანაზე. თქვენს მიერ მოხმობილ მუხლს სიტყვასიტყვით ამოგიწერთ: „საქართველოს პარლამენტის მამაკაცი წევრები პლენარულ სხდომაზე დაიშვებიან მხოლოდ პიჯაკითა და ყელსახვევით, ქალებს დარბაზში ეკრძალებათ შარვლით შემოსვლა". როგორც ხედავთ, კაბა, არც მოკლე, არც გრძელი, ნახსენებიც არ არის (ეს თქვენი ფანტაზიის ნაყოფია), ხოლო შარვალს პარლამენტის წევრი ქალი პლენარულ სხდომაზე ნუ ჩაიცვამს. მე მესმის თქვენი ახალგაზრდული განწყობა მოკლე კაბების მიმართ და გარწმუნებთ, ამ სიამოვნების მოკლება თქვენთვის არავის უცდია. ასე რომ, არ ხართ მართალი, ბატონო გიორგი!

თქვენ 7 აპრილის სხდომასაც არ ინდობთ: „პარლამენტი ესეა იწყება, პარლამენტი დგება, ანთებს სანთლებს, ვიღაცა დეპუტატი გამოდის და იწყებს გალობას და მთელი პარლამენტი იწყებს გალობას. ეს ხომ კომედიაა. შემშურდებოდა ნებისმიერ რეჟისორს, წარმოიდგინოთ, რომ ფელინის გადაეღო ასეთი კადრი, როგორი აღფრთოვანებული ვიქნებოდით, როგორი ფანტაზიის უნარი აქვს ამ კაცს და რა წარმოდგენა, ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება, პარლამენტი აკეთებს ამას". (ქართულისათვის ბოდიშს გიხდი მკითხველო, სტილი ავტორისეულია).

7 აპრილს ხარების დღესასწაული იყო, სრულიად საქართველოს კათალიკოსმა ილია მეორემ ეპისტოლე, სახარება და სანთლები გამოგვიგზავნა, სპიკერმა ეპისტოლე წაიკითხა, ავანთეთ სანთლები, ღმერთს შევავედრეთ ქვეყანა. მკრეხელობაში გვითვლით? იმ კაცსაც, ვინც ნოვატორად მიგაჩნიათ, სანთელი ეკავა და ჩვენს გვერდით იდგა, იმ დროს პარლამენტი ერთიანი იყო, შეკრული. თქვენი აზრი ვიცი, მაგრამ რას იტყოდა ფელინი, რომ კითხულობთ, ცუდია, რომ ვერ ხვდებით.

ასე რომ, არ ხართ მართალი, ბატონო გიორგი!

დაბოლოს, „გალობაზეც" მოგახსენებთ. უნდა იცოდეთ, რომ 7 აპრილის შემდეგ ორ დღეში 9 აპრილი დგება. ჰოდა, პარლამენტის წევრმა ზურაბ მურვანიძემ გვთხოვა მოგვესმინა ამ თარი[illegible] მიძღვნილი მისი ორა[illegible], რომელიც მაგნიტოფონზე ჩაწერილი[illegible]. მოვისმინეთ და [illegible] ლამენტის წევრები ფეხზე [illegible] 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას. თქვენ ფიქრობთ, რომ ეს კომედიაა? შეგინდოთ უფალმა, მაგრამ არ ხართ მართალი, ბატონო გიორგი.

სხვათა შორის, პარლამენტის კრიტიკა საჭიროც არის და აუცილებელიც, მაგრამ კრიტიკა და არა ქილიკი, ასეთი ცნობილი პოლიტიკოსისაგან, თქვენ რომ ბრძანდებით, მიკვირს პირდაპირ!

ხარჯი ხარჯიაო, ნათქვამია და ბარემ თქვენს დასკვნასაც გავაცნობ მკითხველს: „მოვეშვათ იგივე ჩვენც, ახალგაზრდები, ისეთივე პოლიტიკურ სპეკულაციას, როგორც ინტელიგენცია აკეთებს. ინტელიგენციას მე ვგულისხმობ იმ სოციალურ ფენად, კლასად ჩამოყალიბებული პოლიტიკური აქტივობის მქონე ინტელიგენცია, ჩვენში დღეს არ ჩნდება ის ხელოვანი ადამიანი, რომელიც ამ სიტუაციას გაიაზრებდა გროტესკულად, დაგვანახებდა ჩვენ თავს. იმიტომ თვითონ იგივეებად გადავიქეცით, მაშინ [illegible] თავი [illegible] და გაამაყირონ [illegible] აჩვენონ, [illegible] საშუალება [illegible] ეჭირთ, [illegible] ბედავენ ამას", (ავტორისეული სტილი კვლავაც დაცულია). ბატონო გიორგი, მოდით, ამჯერად თქვენმა ქართულის მასწავლებელმა შეგინდოთ, ინტელიგენციის ლანძღვას კი, გირჩევთ, თავი დაანებოთ — არც ახალია, ძველია. ეტყობა, არც „საღამო მშვიდობისას" შემოქმედებითმა ჯგუფმა ჩათვალა სერიოზულად თქვენი არგუმენტები და ის გამოსვლა „კორ-ნიუსის" რუბრიკით იმიტომ გაუშვა ეთერში.

გამოსვლის ბოლოს ბრძანეთ, აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძსო! არც ამაში ხართ მართალი, ბატონო გიორგი: თქვენ კი არ იდექით, იჯექით დაბალ სავარძელში, ძალზე შინაურულად და ასე ესაუბრებოდით მთელ საქართველოს. და ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, თუ სხვაგვარად არ ძალგიძთ.

პატივისცემით,

მიხეილ მჭედლიძე

ერიჯა!!
ანუ სახელდახელო ვარიაციები საპასპორტო თემაზე

ახლახან, ჩემმა კოლეგამ, ქ-ნმა მაია მოსიძემ, გაზეთ „თბილისის" ფურცლებზე კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის სატკივარი, ასე რომ გვაშფოთებს და გვარცხვენს ბოლო წლებში. დღეს თურქეთში საშოვარზე წასული ზოგიერთი ჩვენი „ქალბატონის" უღირსი საქციელის გამო მარტო ართვინში როდი აწყობენ საპროტესტო მიტინგებს თურქი ქალები. თურქეთის სხვა ქალაქებშიც ამოქმედდა ქალთა საზოგადოებები, რომლებიც, როგორც ამბობენ, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებენ მათი ოჯახების „მყუდროების" დამრღვევთ, რომლებიც ახლა კალიებივით მოედვნენ მთელ თურქეთს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდანაც.

ბოლო ერთი წლის მანძილზე მართლაც ისე წავიდა საქმე, რომ იძულებული გავხდი, რამდენჯერმე მივბრუნებოდი ჩემთვის ამ მეტად უჩვეულო და უხერხულ თემას, რადგან ეს ის ჭირია, რომელსაც ახლავე თუ არ ვუწამლეთ, შემდეგ ძალიანაც რომ მოვინდომოთ, თავს მაინც არ დამალავს.

პრობლემებს აბა რა გამოლევს. ჩვენში დამკვიდრებულმა ქაოსმა და განუკითხაობამ მოიტანა ის, რომ ჩალის ფასად გაიზიდა თურქეთში ყველაფერი, რის გაზიდვაც შეიძლებოდა: ხე-ტყე, ამწე-მექანიზმები, სპილენძი თუ სხვა ძვირფასი ლითონები, და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ. გასაოცარი ის იყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის დაცლა-გაპარტახების ეს პროცესი უმეტესწილად, ხორციელდებოდა სახელმწიფო-სამთავრობო სტრუქტურების მიერ გაცემული ლიცენზიებით. ასეთ „ტვირთებს" სარფშიც და თქვენ წარმოიდგინეთ, ფოთშიც ატარებდნენ, როგორც შემდეგ გაირკვა, ათობით დატვირთული გემი გაიდა საზღვარგარეთ.

როცა სახელმწიფო თუ სამთავრობო სტრუქტურები ამას აკეთებდნენ, ცხადია, ქვემდგომნიც მოითბობდნენ ხელს. და ითბობდნენ კიდეც.

მახსოვს, ამ რამდენიმე თვის წინათ აჭარის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, როცა ეს საკითხი იხილებოდა, ბატონმა ასლან აბაშიძემ კატეგორიულად მოითხოვა: არამც თუ დატვირთული მანქანები, ჩიტიც კი არ გადაფრენილიყო ჭოროხზე გადებულ უზარმაზარ ხიდს გაღმა სათანადო სამთავრობო ლიცენზიებისა და დოკუმენტაციის გარეშე. ასეა ახლაც. თურქეთში მიმავალი ჩვენი მოქალაქეები ყოველთვის სიამოვნებით აღნიშნავენ ამ ფაქტს, რადგან ბათუმშიც, ადლიაშიც, სარფშიც უკვე კარგა ხანია დაიწყებას მიეცა გზის ორივე მხარეს ათასგვარი პროდუქციით დატვირთული სატვირთო მანქანების გაუთავებელი კოლონები, მოყაყანე მძღოლებისა თუ ტვირთის პატრონების გაუთავებელი ჩალიჩი, შეხლა-შემოხლა, და კიდევ...

ახლა, ძნელად თუ ვინმე შეძლებს თავი დააღწიოს იმ დაბრკოლებებს, სამართალდამცავმა ორგანოებმა და მათთან ერთად აქ განლაგებული რუსეთის სასაზღვრო ჯარების საკონტროლო პუნქტების მეპატრულეებმა რომ აღმართეს ამ გზაზე. თითო-ოროლა ვინმე თუ მაინც „მოახერხებს" და როგორღაც დაუძვრება ამ კორდონს, მაშინ... როგორც იტყვიან, ძალზე იოლია, დამნაშავის პოვნაც და მიგნებაც.

ისიც უნდა ვთქვა, ჩვენ რომ მოგვდგამს, ბათუმში ისე არ არის.

ერთხელ განხილულ საკითხს, აქ მეორედ არავინ უბრუნდება, რადგან იცის, რაც მოჰყვება ნებისმიერ გულგრილობასა თუ უპასუხისმგებლობას.

ამას წინათ, სწორედ გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნებულ ქალბატონ მაია მოსიძის ზემოთ აღნიშნულ წერილში მოყვანილ ერთ ფაქტთან დაკავშირებითაც იყო მსჯელობა აჭარის უზენაესი საბჭოს სხდომაზე. საქმე ეხებოდა პოლიციის პოლკოვნიკ შოთა სულაძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ არსებობს ალიანსი აჭარის საბაჟოსა და საპასპორტო განყოფილებას შორის, რის შედეგადაც თურქეთიდან დეპორტირებული მოქალაქენი თითქოსდა აჭარაში, ბათუმში იღებდნენ ე. წ. ყალბ პასპორტებს (ცხადია, გარკვეული საფასურის ფასად) ხელმეორედ თურქეთში შესასვლელად.

კაცმა რომ თქვას, დღეს აბა ვინ არის დაზღვეული ასეთი „ცდუნებისაგან", მათ შორის ბათუმშიც... ამიტომაც იყო, რომ უზენაესი საბჭოს ამ დავალების შესრულებაში ჩაერთო აჭარის სამართალდამცავი ორგანოების თითქმის ყველა სამსახური.

აი, ახლა წინ მიდევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის დასკვნა ამ საკითხზე. აქვეა მაქვს მთელი საპასპორტო სამსახურის სრული ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელშიც ელემენტარული არითმეტიკით არის მოცემული ბოლო წლებში მათ ხელთ არსებული სხვადასხვა სახის პასპორტების „მოძრაობის" სრული სურათი... მკაცრ აღრიცხვას დაქვემდებარებულ ამ დოკუმენტებს, როგორც ჩანს, მართლაც მკაცრად ეკიდებიან ბათუმის საპასპორტო სამსახურში. აქ მოტანილია მთელი ნუსხა არსებულიდან როდის ვისზე რა გაიცა, აქვეა დარჩენილი პასპორტების ნაშთიც, აქტზე ხელს აწერენ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ხელმძღვანელები.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დავალებამ ერთი კარგი საქმეც გააკეთა... გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომლებიც ძირითადად ორგანიზაციული ხასიათისაა და კიდევ უფრო მეტ სიფხიზლეს და პრინციპულობას მოითხოვს ამ სამსახურის მუშაკებისაგან. დასკვნა ასეთი გახლავთ: „...წლეულს, 2 ივნისს, გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნებულ სტატიაში — „ართვინში თურქმა ქალებმა მიტინგი მოაწყვეს", რომელშიც გაკრიტიკებულია აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო მუშაობის, ვიზებისა და უცხოელთა რეგისტრაციის განყოფილება და საბაჟო, სინამდვილეს არ შეესაბამება".

კაცმა რომ თქვას, ამით ვაპირებდი ამ წერილის დასრულებას. მაგრამ მოხდა ისე, რომ ბათუმის სამართალდამცავმა ორგანოებმა მომაწოდეს თურქეთის პოლიციის მიერ ჩვენთვის ამას წინათ გადმოცემული 35 მოქალაქის პასპორტი, რომლებზეც ამ სტატიაში გაკვრით არის საუბარი და ისეთი კონტექსტია, თითქოს მათ მფლობელებს ისინი ბათუმში ჰქონდეთ მიღებული. ჩემი კოლეგა სრულიად სამართლიანად სვამს ასეთ კითხვას: — ნუთუ კანონიერებისა და წესრიგის დაცვა იმაზე იაფი ღირს, ვიდრე ის თანხა, რასაც ყალბ პასპორტში იხდიან?

აგაშენათ ღმერთმა, მეც მანდა ვარ... ამიტომაც იყო, რომ საგანგებოდ ვთხოვე ჩვენს ფოტოკორესპონდენტს რამდენადაც შეიძლება ახლოს გადაეღო ეს პასპორტები, რომლებშიც თვალნათლივ გამოჩნდებოდა საპასპორტო განყოფილებების ის ბეჭდები, რომლებსაც ამ დოკუმენტებს „ურტყამენ" ქუთაისისა და თბილისის საპასპორტო განყოფილებებში. რაც შეეხება ოფიციალური ექსპერტებისა და სამსახურების დასკვნას, არც ამაზე დაგზარდებით. ნახეთ, რას წერს ამის თაობაზე აჭარის უზენაესი საბჭოს საქმეთა მმართველობას სასაზღვრო ჯარების ბათუმის საკონტროლო-გამშვები პუნქტის მეთაური მაიორი ა. შკრებკო:

„თქვენი მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით საერთო-სამოქალაქო საზღვარგარეთულ პასპორტებს გაცემულს ქუთაისისა და თბილისის ვიზებისა და რეგისტრაციის განყოფილებათა მიერ, რომლებიც გამოწერილია საზღვარგარეთული პასპორტების გაცემისათვის დადგენილი წესების შემოვლით".

ასე რომ, როგორც ხედავთ, ახლა, ჩემდაუნებურად საქმე გავუჩინე ქუთაისისა და თბილისის შინაგან საქმეთა სამსახურების ხელმძღვანელებს. ვნახოთ, რას მოიმოქმედებენ.

ისე კი, ერთი შეღავათი მაინც შემომრჩა ხელთ, როცა ამ დოკუმენტებს ვეცნობოდი. იმ ქალბატონების გვარებს შორის, რომლებიც თურქეთში დაფრინავდნენ ქუთაისსა თუ თბილისში გაცემულ ამ დოკუმენტებს, არც ერთი არ გახლავთ ქართველი. ისინი, როგორც ვამბობთ ხოლმე, გასტროლიორი „ნატაშები" არიან: ბონდარევა ტატიანა, კარელოვა ანა, მელქონიანი ლუსიკ, გავრილოვა გალინა, ანისიმოვა ოლგა, დიმიტრიევა ნატალია და [illegible] მათი „სექსუალური გაერთიანება" ეტყობა, ჩვენმა მეპასპორტეებმა მარტო თვალების ჟუჟუნისთვის არ აღჭურვეს და გაუშვეს ისინი თურქეთში საგასტროლოდ. ამას წინათ ერთი ჩამონათვალი ვნახე თურქულ გაზეთში: „ყველაზე მეტი დოლარები თურქეთიდან სწორედ გასტროლიორ „ნატაშებს" გააქვთო".

დავიჯეროთ, რომ ამ „ნადავლიდან" ჩვენს მეპასპორტეებს არაფერი შეხვდებათ?

და ბოლოს, ერთს ვიტყვი, — როცა ისეა საქმე, რომ პასპორტი ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცევა, მაშინ მართლა აღარ ყოფილა ჩვენი საშველი.

გია ჭელიძე,

„ხრ" აჭარის ბიურო.

ერთი ინფორმაციის გამო

მიმდინარე წლის 14 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა საქინფორმის მოკლე ინფორმაცია სათაურით — „კონსტრუქციული დიალოგი ვერ შედგა".

ინფორმაციაში ლაპარაკია სენაკის მოსახლეობასთან და აფხაზეთიდან ლტოლვილებთან გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლების ბატონების თედო პაატაშვილის, მერაბ ურიდიასა და გოჩა გავაშელის შეხვედრის შესახებ.

ჩვენი პარტიისადმი ესოდენი ყურადღების გამოჩენისათვის, რესპუბლიკის სამთავრობო საინფორმაციო საშუალებების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის, რომ არა ერთი სამწუხარო ფაქტი.

ინფორმაციის სათაურიდანვე ირკვევა, რომ მის ინკოგნიტოდ დარჩენილ ავტორს (როგორც შემდეგ გავარკვიეთ, სენაკის გამგეობის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს, მოქალაქეთა კავშირის წევრს) მხოლოდ პარტიის დისკრედიტაციის მიზანი ამოძრავებს და შეხვედრის პერიპეტიებს გაყალბებულად აწვდის მკითხველს.

ჯერ ერთი, შეხვედრას სინამდვილეში 600 კაცამდე ესწრებოდა (ინფორმაციაში" კი აღნიშნულია [illegible]0-300 კაცი. ორსაათნახევრის განმავლობაში აუდიტორიის უდიდესი ნაწილი ყურადღებით ისმენდა ორატორთა გამოსვლებს, ინფორმატორს კი აქცენტი ორიოდ პროვოკატორზე გადააქვს, რომლებსაც დარბაზიდანვე გაეცა საკადრისი პასუხი. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ჩვენი თხოვნისა თუ მცდელობისა (მიკროფონიც კი ჩვენ მოვიტანეთ) შეხვედრა რადიოფიცირების გარეშე მიმდინარეობდა და რომ არა დამსწრე საზოგადოების უდიდესი ნაწილის კეთილგანწყობა, 600-კაციან დარბაზში უმიკროფონოდ საქართველოში არსებულ უმწვავეს პრობლემებზე ორსაათნახევრის განმავლობაში საუბარი უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა.

თუმცა ეტყობა ინფორმაციის ავტორი ცოტა ნამუსმაც შეაწუხა და დასკვნის სახით წერს: „...არც შეხვედრის მსვლელობისას და არც შემდგომ რაიმე გართულებები არ ყოფილა..."

უნდა [illegible], რომ მსგავსი შე[illegible] ფოთის თეატრის შენობა[illegible] მართა, და ორივეგან შეხვედრებ[illegible] მონაწილეთაგან ბევრმა გამოთქვა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრობის სურვილი.

ჩვენთვის გასაგებია, რომ მოქალაქეთა კავშირს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის არსებობის ფაქტიც კი ერთობ აწუხებს. მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის განცხადებაც რად ღირს „სამი ნეგატიური ძალის გაერთიანების" შესახებ. მაშინ როდესაც მთელი საქართველო მერამდენე წელია მოუთმენლად ელის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანებას. სიცრუესა და ჭორზე აგებული ინფორმაციის გავრცელება პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მიზნით, თვით მოქალაქეთა კავშირისათვისაც კი სამარცხვინოა.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია კვლავაც გააგრძელებს საზოგადოებრიობასთან შეხვედრებს საქართველოს ქალაქებსა თუ რაიონებში და იმედოვნებს, რომ საქინფორმი და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" ოპერატიულად და ობიექტურად გააშუქებს ამ და სხვა მოვლენებს.

გოჩა გავაშელი,

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი.

საქინფორმისაგან: ჩვენს მიერ გავრცელებული ინფორმაცია — „კონსტრუქციული დიალოგი ვერ შედგა", რამდენიმე წყაროდან მივიღეთ. გადამოწმებისას ყველა ფაქტი ერთმანეთს დაემთხვა.

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
აცხადებს [illegible] მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის იურიდიული და ჰუმანიტარული ფაკულტეტების შემდეგ სპეციალობებზე:
1. სამართლისმცოდნეობა;
2. უცხო ენები;
3. ისტორია;
4. ფილოლოგია;
5. ჟურნალისტიკა.
საბუთების მიღება 25 აგვისტომდე, ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 11-დან 16 საათამდე.
მისამართი:
მოსკოვის პროსპექტი №19.

საწარმოო გაერთიანება „თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის" ადმინისტრაცია
აცხადებს, რომ ესაჭიროება საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ავტომატურ სატელეფონო სადგურებში, ხაზისა და სადგურების ელექტრომონტიორები და მეკაბელე-მრჩილავები.
ანაზღაურება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის 4-5 მლნ. კუპონის, ელექტრომონტიორებისათვის 5 მლნ. კუპონის, მეკაბელე-მრჩილავებისათვის 10 მლნ. კუპონის ოდენობით თვეში. წახალისება 70%.
ცნობებისათვის დაგვირეკეთ 35-40-70, კადრების განყოფილება ან მობრძანდით მისამართზე:
დავით აღმაშენებლის გამზ. №189.

ცნობილი იტალიური კომპანია „მასერვისი" (ქალაქი მოსკოვი) შეისყიდის თხილს დიდი პარტიებით
თხილის შესყიდვისთვის სათანამშრომლოდ ვიწვევთ საქართველოს რესპუბლიკის მეწარმეებს.
მზად ვართ შევისყიდოთ შარშანდელი, 1993 წლისა და წლევანდელი მოსავლის თხილი. ამას გარდა, დავდოთ გაისის, 1995 წლის მოსავლის შესყიდვის ხელშეკრულება.
ჩვენი მოთხოვნა პროდუქციის ხარისხისადმი ასეთია:
ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 6 პროცენტს,
საქონლის არაკონდიციური ნაწილი – 4 პროცენტს.
ფასები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო შესასყიდ ფასებს.
მომხმარებლისთვის პროდუქციის გადასაზიდი ტრანსპორტის სახეობაზე, გადატვირთვის ადგილსა და ღირებულების გადახდის ფორმებზე დამატებით შევთანხმდებით.
ჩვენი ტელეფონები მოსკოვში:
(095) 155-46-00 და 155-4351
ფაქსი (095) 151-06-52.

გთავაზობთ
უნაღდო
ანგარიშსწორებით
ხაზეთ ხაზებ, ქსეროქსის, პრინტერის, ცარცის, საბეჭდი ბლანკების ქაღალდს, ნებისმიერი ფორმატის ბლოკებზე
მიწოდებით
ტელ: 38-91-64

ფირმა «PrintShop»
თბილისი.
ვირსალაძის ქ. 8
ტელ.: 998696,
997712.



უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს
PS L.T.D

აქტუალური ინტერვიუ

ჩვენ გადავრჩებით!..

სადღეისო საჭირბოროტო სოციალურ და საყოფაცხოვრებო პრობლემებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე

(დასასრული)

ოპერაციის რეფორმა... საქართველოში 300-400 ათასი მეანაბრე მეპაიე-მესაკუთრე ხდება. თუკი მეპაიეთა უფლებებს აღვადგენთ, სამომხმარებლო კოოპერაცია, აგრეთვე მესაკუთრეთა ორგანიზაცია იქნება. ეს 1,5 მილიონი ადამიანია, პლუს პრივატიზაციის პროცესში ჩართული ასიათასები, მიწათმფლობელები... ჩვენ, მართლაც მესაკუთრეთა მრავალრიცხოვანი ფენის ჩამოყალიბებისაკენ მივდივართ.

დღეს ერთ-ერთი ძირითადი, უმწვავესი პრობლემა ეს არის ინფლაციის შეჩერება. აქაც ღონისძიებათა მთელი კომპლექსი მზადდება. ვიმედოვნებთ, საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური ცენტრების, მათ შორის სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერას.

ყოველივე ეს კი ჯუნგლის კანონების ალაგმვისა და ცივილიზებული ცხოვრების წესზე გადასვლისათვის შექმნის ეკონომიკურ საფუძვლებს, ამასთან, ყოველივე ეს მოხდება მიზანსწრაფულად. კერძოდ, მიღებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრინციპები და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, რომლებიც ქვეყნის სოციალური პოლიტიკის საკითხებსაც მოიცავენ. ამ დოკუმენტებმა საერთაშორისო ექსპერტების მოწონება დაიმსახურა.

— **ჩვენმა სახელმწიფომ თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ ქვაკუთხედად ადამიანის უფლებათა დაცვა აღიარა, მაგრამ ჯერჯერობით ხელშესახები მაინცდამაინც არაფერი შეიმჩნევა. ადამიანი და მისი ღირსება, უფლებები კვლავინდებურად გათელილია. ავიღოთ თუნდაც უპირველესი — სიცოცხლის უფლება. იმის გარდა, რომ იგი დაუცველია ბანდიტიზმისა და ტერორიზმისაგან, უკიდურესად დაუცველია ეკონომიკური ტერორისაგან.**

ცნობილია, რომ ივლისის დამდეგისათვის საშუალო ოჯახის სიღარიბის ზღვარმა, ოფიციალური მონაცემებით, ოთხსულიან ოჯახზე, თვეში 74,7 მილიონ კუპონს გადააჭარბა, სამომხმარებლო კალათის ღირებულებამ (ერთ კაცზე) — 37,4 მილიონს. ამ დროს ფაქტობრივი მინიმალური ხელფასი ნორმატიულის ერთ პროცენტსაც ვერ სწვდება.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პენსიონერები, მოქმედი სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, მოგეხსენებათ, 1,5 მილიონ ადამიანს მოიცავს, მათ შორის 200 ათასზე მეტი ინვალიდია. ამ კატეგორიისაა 25 ათასამდე ბავშვი, 15 ათასი მარტოხელა, მრავალშვილიანი ოჯახი, ისინი, ვისაც ხელფასისა და პენსია-დახმარების გარდა სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნია. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური ყოფა.

ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ ვერ ხერხდება სოციალური დაცვის სფეროს სამართლებრივი და ეკონომიკური უზრუნველყოფა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე კი ხელისუფლება ვალდებულია განახორციელოს რადიკალური ღონისძიებები. დაიწყო ლაპარაკი პურის ფასის, გაზის, ელექტროენერგიისა და ა. შ. ტარიფების ზრდაზე, რაც დიდი დარტყმა იქნება მოსახლეობისათვის.

ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე თქვენ თქვით, ვიდრე არ მოხდება ფასების ლიბერალიზაცია და მისი შესაბამისი არ გახდება ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები, შეუძლებელი იქნება ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური გაჯანსაღება.

კონკრეტულად რას გულისხმობთ ამაში, და, საერთოდ, შემუშავებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამა?

— მოსახლეობის სოციალური დაცვის საფუძველს ქმნის ანტიკრიზისული პროგრამა, რომლის სოციალური ნაწილი ვრცლად იყო დახასიათებული ჩემს გამოსვლაში მოქალაქეთა კავშირის ყრილობაზე. ამ საპროგრამო დებულებათა რეალიზაციისთვის ამჟამად მუშავდება საბიუჯეტო სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების ერთიანი სატარიფო სისტემა, რომლის მიღება მათი შრომის ანაზღაურების საკითხებს მოაწესრიგებს. არის მრავალი კანონპროექტი შრომითი ურთიერთობის რეგულირების საკითხებზე. ამგვარად გაწეულია მოსამზადებელი სამუშაოები, მზადდება საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის დამკვიდრებასთან ერთად, მთელი ძალით ამოქმედდება. ამჟამად ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მინიმუმი, რომელიც მოიცავს მხოლოდ აუცილებელ ხარჯებს (დანახარჯები კვების პროდუქტების, ტრანსპორტის, ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების, სანიტარიულ-ჰიგიენური საქონლისა და მედიკამენტების შეძენისათვის), საფუძვლად დაედოს მინიმალური ხელფასის განსაზღვრას, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ყველა სახის პენსიების, შემწეობების, სტიპენდიებისა და სხვა სოციალური გასაცემლების განსაზღვრას.

საბაზრო ეკონომიკა კი, რომელსაც ჩვენ „ვაშენებთ" და ყველასთვის მისაღებია, მოსახლეობას სთავაზობს შრომისა და შემოქმედებითი აქტივობის გამოვლენის ახალ წესებს. მთავარია, ადამიანი თავისუფალია შრომის არჩევაში, საკუთარი მეწარმული ინიციატივის გამოვლენაში. იგი ებმება და თანდათანობით ეგუება ცხოვრების ახალ პირობებს. ხელისუფლება კი საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გადმოტანით და ა. შ. ქმნის ასეთი ცხოვრების რეგულირების გარემოს, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ ჩვენს სპეციფიკასაც. არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ საქმეში სწრაფი ტემპით მივდივართ წინ, მაგრამ აუცილებელია დავინახოთ ის წინსვლა, რაც არის.

ჩვენთან, მთელი ევროპის მასშტაბით, ყველაზე შეღავათიანი საგადასახადო სისტემაა. უაღრესად ხელსაყრელი სავაჭრო პირობები გვაქვს ჩვენს მეზობელ ქვეყნებსა და დასავლეთ ევროპის ისეთ ქვეყნებთან, როგორებიც არის გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები და ა. შ. საერთაშორისო ორგანიზაციები და ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, თავიანთი შესაძლებლობის კვალობაზე, მაქსიმალურად გვეხმარებიან. მაგალითად, ქართული კაპიტალი ამერიკის შეერთებულ შტატებში გათანაბრებულია ეროვნულ კაპიტალთან, ასეთივე, უაღრესად ხელსაყრელი პირობებით გავაფორმეთ ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები გერმანიასთან, ირანთან, თურქეთსა და დსთ-ს ქვეყნებთან. შევქმენით საქართველოში უცხოური კაპიტალის შემოსვლის ხელსაყრელი პირობები. ეს ყველაფერი ჩვენი მიღწევებია, და აქტიურ შრომით საქმიანობაში ჩაბმულმა მოსახლეობამ თავისი მეწარმული ინიციატივის სარეალიზაციოდ უნდა გამოიყენოს.

როგორც ვთქვი, მკვეთრი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მიმართულებით, რამაც ჩვენი დირექტორთა კორპუსი საპრივატიზაციო ობიექტების კოლექტივები, ეფექტიანი სამეურნეო აქტიურობისათვის უნდა გამოაცოცხლოს. ხორციელდება ღონისძიებანი სოფლის მეურნეობაში ფერმერული ბიზნესის დამკვიდრებისათვის, მაღალი მოსავლიანობის კულტურების ათვისებისათვის. პრაქტიკულად ხდება აგროკულტურის ახალი სპეციალიზაციის ჩამოყალიბება, აგრობიზნესის პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა.

სამწუხაროდ, ყოველივე ეს ჩანასახოვან მდგომარეობაშია, ამიტომ დღეს ბევრია სოციალურად დაუცველი ადამიანი, თქვენ პენსიონერები, შრომის უუნარო ადამიანები, ინვალიდები, მრავალშვილიანები ახსენეთ. ამას დაუმატეთ 300 ათასამდე ლტოლვილი და ქვეყნის შიგნით მიგრაციით ნებაყოფლობით გადაადგილებული პირები და უფრო სრულად დაინახავთ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ სოციალურ პრობლემებს. მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის დახმარების გამონახვა და ისეთი მექანიზმის ამოქმედება, რაც ხელს შეუწყობს პირობების გაუმჯობესებაში, ჩვენი საყოველთაო საზრუნავია.

მოსახლეობამ კარგად იცის, რომ პურს, რომელიც კილოგრამი ხორბლის ღირებულების ჩათვლით დაახლოებით 150-200 ათას კუპონამდე გვიჯდება, 700 კუპონად ყიდულობს; ბუნებრივი გაზის, ელექტროენერგიის, წყლისა და სხვა სახის კომუნალური მომსახურეობისათვის სიმბოლურ გადასახადს იხდის. ასევე რეალურ ღირებულებაზე ბევრად იაფია მეტროპოლიტენით მგზავრობა. ჩვენი რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ნახევარზე მეტი სოციალურ კომპენსაციებს ხმარდება, მაგრამ გაღატაკებული ეკონომიკის პირობებში ეს ხარჯები მოსახლეობისთვის ცხოვრების მინიმუმის შესაქმნელად სრულიად არასაკმარისია. თუმცა, [illegible] უნდა ითქვას, რომ გაჭიანურებული საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი ფაქტორი ფასების ამგვარი პოლიტიკაც არის. ამიტომ უახლოეს ხანში ამ მიმართულებით გადამწყვეტი შემობრუნება უნდა მოხდეს, კერძოდ, ხელფასებისა და სოციალურ დახმარებათა სათანადო გადიდებით.

პურის, აგრეთვე ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის ამჟამად მოქმედი სარეალიზაციო ფასები, აქედან გამომდინარე, სატრანსპორტო და კომუნალური ტარიფები კუპონის კურსის მკვეთრი დაცემის გამო დღეისათვის უკვე ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი სისტემების საქმიანობის მინიმალურად აუცილებელ ეკონომიკურ პირობებს. განსაკუთრებით მცირეა პურის ფასები, რომელიც არამც თუ კვლავწარმოების ნორმალურ პირობებს ვერ უზრუნველყოფს, არამედ მისი ტრანსპორტირებისა და რეალიზაციისათვის გაწეულ ხარჯებსაც კი ვერ ანაზღაურებს, ჰუმანური დახმარებითა თუ კრედიტებით შეძენილი ხორბლისა და ფქვილის ღირებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ, ცნობილი მიზეზების გამო, ვერ ხერხდება ფასების მექანიზმით მოსახლეობის მიერ ენერგორესურსების მოხმარების მომჭირნეობის განხორციელება. მაგალითად, მოსახლეობის მიერ ბუნებრივი გაზის საერთო მოხმარებიდან გაზქურებზე წელიწადში მოდის დაახლოებით 300 მილიონი კუბური მეტრი, რაც თითქმის მთლიანად იფარება ბიუჯეტის სუბსიდიებით, ხოლო დანარჩენი ნაწილი, ანუ 1,1 მილიარდი კუბური მეტრი, ფაქტობრივად, გადაუხდელი რჩება. იგივე მდგომარეობაა ელექტროენერგიის მოხმარებაშიც: თვეში მოსახლეობის ერთ სულზე პირობითი ნორმის (20 კვტ. სთ.) უდიდეს ნაწილს ანაზღაურებს ბიუჯეტი, ხოლო ნორმის გადამეტებულ სრულ ტარიფს მოსახლეობა პრაქტიკულად არ იხდის. ამის შედეგად დიდი ფინანსური ტვირთი აწვება ბიუჯეტს, დიდ ზარალს განიცდიან შესაბამისი ორგანიზაციები. (საბოლოო ანგარიშით, ყოველივე ეს ხალხის, განსაკუთრებით კი ყველაზე ხელმოკლე ოჯახების კისერზე გადადის).

ყველაფერი ეს კი ბიუჯეტის დიდი დეფიციტის პირდაპირი მიზეზია. აქედან გამომდინარე, რადიკალური ღონისძიებების გატარება მიზანშეწონილად ჩაითვალა. კერძოდ, მოსახლეობისათვის მისაწოდებელ ბუნებრივ გაზსა და ელექტროენერგიაზე უნდა დაწესდეს რეალური ფასები.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ ღონისძიებას სასურველი ეფექტი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება მოხმარებულ ბუნებრივ გაზსა და ელექტროენერგიაზე გადასახადების ამოღების ნაღდი ანგარიშსწორების მოქმედი წესი უნაღდო ანგარიშსწორებით მოსახლეობის დასაქმების (აღრიცხვის) ადგილების მიხედვით, რაც კონკრეტულ მექანიზმის შემუშავებას მოითხოვს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ დაკავშირებულია სერიოზულ პრაქტიკულ სირთულეებთან.

რაც შეეხება მოსახლეობის დამატებით ხარჯებს, იგი უნდა გათვალისწინდეს გადიდებულ მინიმალურ ხელფასში. ამასთან, უნაღდო ანგარიშსწორების წესის დამკვიდრებისას პრაქტიკულად იხსნება დამატებითი ხარჯებისათვის საჭირო ფულის მასის მიმოქცევაში გაშვების საკითხი.

ენერგორესურსების გაძვირება, რაც წლეულს კვლავაც გაგრძელდება, ცხადია, კიდევ უფრო გაართულებს საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსურ პრობლემებს, მნიშვნელოვნად გაართულებს პროდუქციის რეალიზაციას და სხვა, მაგრამ არის გამოსავალი — ამ რესურსების უმკაცრესი მომჭირნეობა, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ამ დასკვნამდე მივყავართ რესპუბლიკაში მთლიანად მოხმარებული ენერგორესურსების ყველაზე განმაზოგადებელ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან შედარებას.

კერძოდ, ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, რესპუბლიკაში 1993 წელს შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 600-700 მილიონ დოლარად შეიძლება შეფასდეს, და ეს მაშინ, როცა წლის განმავლობაში დაახლოებით 300 მილიონი დოლარის მხოლოდ ბუნებრივი გაზი მოვიხმარეთ. ცხადია, თანაფარდობა კატასტროფულია. უფრო მეტიც, წლეულს, I კვარტალში, რესპუბლიკაში მოხმარებული მხოლოდ ხსენებული ერთი სახის ენერგორესურსის ღირებულებამ ამკარად გადააჭარბა ახლად შექმნილ ღირებულებას.

რაც შეეხება პურს, ხორბლის რესურსების მკვეთრი შეზღუდულობისა და მოსახლეობის უკიდურესად დაბალი მსყიდველობითი უნარის პირობებში არ შეგვიძლია მასზე ფასების სრული აშვება, ამ ეტაპზე აუცილებელია პურის ფასების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის შენარჩუნება, ამით თავიდან ავიცილებთ ფასების უკონტროლო ზრდას. მართალია, ჯერჯერობით ფასები გაძვირდება, მაგრამ პურის მრეწველობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნაზე იქნება ორიენტირებული. ცხადია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოსახლეობის სოციალურად დასაცავი ფენებისათვის სათანადო კომპენსაციით ხელფასისა თუ სხვა ფულადი გასაცემლების მკვეთრი გადიდებით.

— **ხელფასების მომატება ყოველთვის იწვევდა ინფლაციისა და ფასების კატასტროფულ ზრდას. ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ხელფასების ახალი ზრდა რა დადებით შედეგს მოუტანს კონკრეტულად ადამიანს ან სახელმწიფოს?**

— ხელფასებისა და ფასების ახალი დაბალანსება ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების პირობების შექმნას სჭირდება.

ფასების ლიბერალიზაცია, ანუ როგორც ეკონომისტები ამბობენ, ფასების განთავისუფლება, **არ შეიძლება მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე მოხდეს.** ეს გათვალისწინებულია სამთავრობო პროექტებში, რომლებიც ახლა მუშავდება. მაშინ რას მოიგებს სახელმწიფო იმით, რომ ერთის მხრივ გაათავისუფლებს ფასებს, ხოლო მეორეს მხრივ, თითქოს ისეთივე პროპორციით გაზრდის ხელფასებს, პენსიებსა და სტიპენდიებს?

საქმე ის არის, რომ ამოძრავდება საფინანსო და ეკონომიკური ბერკეტები, კუპონი საჭირო გახდება არა ნომინალურად, არამედ პრაქტიკულად იმისათვის, რომ იყიდო პური, შეიძინო საწვავი, გადაიხადო ენერგომატარებლების საფასური. იმოძრავებს მთელი ფულადი მასა. ასეთ პირობებში კი შეიქმნება ინფლაციასთან ბრძოლისა და ეროვნული ვალუტის განმტკიცების გარანტიები. ეროვნული ვალუტის გასაჯანსაღებლად, რა თქმა უნდა, არის სხვა გზაც, მაგრამ არახელსაყრელია.

ფასების ლიბერალიზაცია, პრაქტიკულად 1992 წლის 1 თებერვლიდან განხორციელდა. ამასთან, მოსახლეობის სოციალური დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დღემდე ცალკეული სახეობის საქონლისა და მომსახურებისათვის ფასებისა და ტარიფების სახელმწიფო რეგულირება შენარჩუნებულია. კერძოდ, პურსა და რძეზე, ბუნებრივ გაზსა და ელექტროენერგიაზე, კომუნალური და საქალაქო სატრანსპორტო მომსახურებისათვის დაწესებულია შეღავათიანი ფასები (ტარიფები), რომლებიც რამდენჯერმე დაბალია სრულ ფასებზე და ფასთასხვაობის დაფარვა ბიუჯეტის სახსრებით ხდება.

ფასწარმოქმნის აღნიშნული პრაქტიკა მისაღები იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ფასების მკვეთრი ზრდის პირობებში, რაც განპირობებულია რესპუბლიკაში შემოსატანი მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გაძვირებით, საჭირო გახდა რადიკალური ღონისძიებების გატარება თუნდაც იმიტომ, რომ:

იმდენად დაბალია ცალკეულ სახეობის პროდუქციაზე მოქმედი რეგულირებადი ფასები, რომ პრაქტიკულად იხსნება მათი მომჭირნეობით ხარჯვის (უმკაცრესი მომჭირნეობის) სტიმული; შეღავათებით სარგებლობს მოსახლეობის ყველა ფენა, მათი მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, რითაც ირღვევა სოციალური სამართლიანობის პრინციპი; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობის პირობებში პერმანენტულად იზრდება ფასთასხვაობის დასაფარავად გამოსაყოფი სუბსიდიების მოცულობა (იგი წლიურად განსაკარგავი ათობით ტრილიონ კუპონს შეადგენს), რაც კიდევ უფრო ამწვავებს რესპუბლიკის საფინანსო მდგომარეობას. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ნეგატიური მოვლენებისათვის ნაყოფიერი ნიადაგი იქმნება.

ნათქვამიდან გამომდინარე, აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე დღის წესრიგში დადგა რეგულირებადი ფასების (ტარიფების) სრულ რეალურ დონემდე მიახლოება და არა მათი ლიბერალიზაცია. რამდენადაც რესურსების შეზღუდულობით წარმოების სახელმწიფო მონოპოლიისა და მოსახლეობის უკიდურესად დაბალი მყიდველობითუნარიანობის პირობებში ფასების ერთბაშად განთავისუფლება სოციალური დაძაბულობის შემდგომ გაღრმავებასთან არის დაკავშირებული, მტკიცედ გადავწყვიტეთ ეკონომიკაში განვახორციელოთ რადიკალური გარდაქმნები. ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ უნდა გადავდგათ უმთავრესი ნაბიჯი. სწორედ ეს არის ფასებისა და ტარიფების მოწესრიგება. პური მოსახლეობამ უნდა მიიყიდოს იმ ფასად, რაც სახელმწიფოს უჯდება. რაც შეეხება მოსახლეობის გადახდის უნარს, როგორც ზემოთ ვთქვი, იგი განპირობებული იქნება ხელფასების, პენსიებისა და სხვა სახის სარგოების გადიდებით. წინასწარი გაანგარიშებებით ვვარაუდობთ, რომ ამ ღონისძიებას შედეგად უნდა მოჰყვეს მატერიალური და ფინანსური რესურსების დაახლოებით 30 პროცენტის დაზოგვა, ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და მთავრობის მიერ გაწეული სოციალური დახმარების კონკრეტული, მისამართული განაწილება. ისე, მთელი საფინანსო და ეკონომიკური სისტემის რეგულირებისთვის მდგომარეობიდან გამოგვიყვანდა 1-1,5 მილიარდი გრძელვადიანი კრედიტი. სამწუხაროდ, ასეთი საშუალება არ არსებობს, ის კრედიტები და დახმარებები, რომელსაც ვშოულობთ (ურომლისოდაც სრული კატასტროფა იქნებოდა) მხოლოდ, ასე ვთქვათ, მიმდინარე ხარჯებს თუ ფარავს.

კრედიტების, ფინანსური დახმარების ყველა გზა მოვსინჯეთ. მათ შორის კავშირი დავამყარეთ ე. წ. შუამავალთა რიგ ჯგუფებთან. იყო ბევრი დაპირება. ამ მოლაპარაკებებში ფინანსთა მინისტრთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან, ვიცეპრემიერებთან ერთად, მეც ვმონაწილეობდი. სამწუხაროდ, ამ მოლაპარაკების ბევრი პარტნიორი, უბრალოდ, თაღლითი აღმოჩნდა. პიროვნებათა ერთი ჯგუფი ავსტრიიდან საკმაოდ დიდ თანხას გვპირდებოდა საქართველოსთვის, თუკი ამ კონტრაქტის გარანტად შევარდნაძე გამოვიდოდა. ეს მისია მე ვიკისრე. შემდეგში აღმოჩნდა, რომ საქმე გვქონდა გაქნილ საქმოსნებთან. აქ საქართველოს არაფერი დაუკარგავს, არც შეუძენია. დაკარგა შევარდნაძემ მისი საერთაშორისო სახელისა და ავტორიტეტის ნაწილი, რადგან მან შესანიშნავად იცის, რომ ასეთი კატეგორიის ადამიანებთან არ უნდა დაიჭიროს საქმე. მე ამაზეც ვთანხმდები, იქნებ რაიმე გამოვიდეს...

ერთხელ უკვე ვთქვი, რომ სამშობლოსთვის შესაწირავი სახელის მეტი არაფერი მაქვს-მეთქი. აკი ვწირავ კიდეც. საწყენი ის არის, რომ ერთმა ოპოზიციურმა გაზეთმა სწორედ ამ „კორუფციაში" „ამხილა" სახელმწიფოს მეთაური. შეგრცხვეთ მაინც, როცა ასეთ რაიმეს კისრულობთ.

ახლახან სოლიდური საკრედიტო დახმარება მივიღეთ რუსეთიდან (20 მილიარდი მანეთი), იქნება დახმარება ევროგაერთიანებიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და ა. შ. მაგრამ ეს ყველაფერი, ჩვენს მოთხოვნილებებთან შედარებით, ზღვაში წვეთია.

ასეთია რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. ეს ის გზაა, რომელიც აუცილებლად გასავლელია.

სასურველია, ყველამ იცოდეს: ხელისუფლების განკარგულებაში არსებული რესურსები განსაზღვრულია, მას არ შეუძლია ეს რესურსები შექმნას. მატერიალური ფასეულობები იქმნება მეურნეობაში და ხელისუფლება ვერ გაუნაწილებს ხალხს არარსებულ რესურსებს. ეს ყველამ უნდა გაიაზროს და თავის სამოქმედო პრინციპად აქციოს. თუ შარშან ყველა სახის გადასახადის სახით მთავრობამ მოსახლეობისაგან წარმოებული შიდა პროდუქტის მხოლოდ სამ პროცენტამდე ამოიღო, რა შესაძლებლობები ჰქონდა მას განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი ჰუმანური პროგრამები? — არავითარი! ამიტომ იძულებული ვიყავით დაგვეშვა ემისიური კრედიტები და სიდუხჭირის ტვირთი თანაბრად გაგვენაწილებინა მთელი მოსახლეობისთვის. გაითვალისწინეთ: ეს პროცესი მიმდინარეობდა მძიმე კრიმინოგენული ვითარებისა და სამოქალაქო ომის ფონზე.

ამჟამად, როცა პოლიტიკური სტაბილიზაციის ფაზაში შევედით, შესაძლებელია ვიფიქროთ ეკონომიკის რადიკალურ გარდაქმნებზე და კიდეც ვახორციელებთ. გვინდა ფართო მასშტაბით განვახორციელოთ პრივატიზაცია და მოვაწესრიგოთ ეკონომიკურ განზომილებათა სისტემა. ასეთ შემთხვევაში კი მოსახლეობის სოციალური დაცვა უფრო ცივილიზებული და აპრობირებული მეთოდებით მოხდება.

უნდა ვიცოდეთ: რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს ქვეყანა, რამდენი ლტოლვილი და ინვალიდიც უნდა ცხოვრობდეს ამ ქვეყანაში, მას არ შეუძლია იმაზე მეტი მოიხმაროს, ვიდრე ქმნის. ეს აუცილებელი, ბუნებრივი კანონია. თუ ამას ვახერხებთ, მოვიხმართ ბევრად მეტს, ვიდრე ვქმნით, ეს ჩვენი უცხოელი მეგობრების კეთილი ნებით არის განპირობებული, რისთვისაც მთელი ქართველი ხალხის სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ.

— **რისი იმედი უნდა ჰქონდეს მხოლოდ კუპონის შემყურე ადამიანს?**

— აუცილებელია ეროვნული ვალუტის რეალურ საბრუნავ-საგადასახადო საშუალებად გადაქცევა. ამასთან, საჭიროა იმ მექანიზმის ამოქმედება, რომელიც რესპუბლიკაში მიმოქცევაში მყოფ უცხოური ვალუტის ამოღების საშუალებას მოგვცემს.

ვფიქრობთ, ამ მიზნით სასარგებლო იქნებოდა მოლდოვასა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება.

უნდა მოწესრიგდეს გადასაცვლელი პუნქტების მუშაობა. განკარგულება გავეცი, რომ ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელოს მინისტრთა კაბინეტმა. ეროვნული ვალუტა ლოზუნგებითა და მოწოდებებით არ განმტკიცდება. იგი მოსახლეობისთვის საჭირო უნდა გახდეს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტაზე გადაცვლის იდეალური ორგანიზაცია.

— **კატასტროფულად იზრდება უმუშევრობა, სიღატაკე აიძულებს ადამიანებს დათანხმდნენ მუშაობის თითქმის ყოველგვარ პირობებს, მაგრამ...**

უმუშევრობისგან იტანჯებიან არა მარტო უმუშევრები, არამედ ისინიც, რომლებსაც დღესდღეობით სამუშაო აქვთ, მაგრამ თავიანთი საწარმო-ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გამო, როდის დაითხოვენ, არ იციან.

როგორ გესახებათ ამ პრობლემის მოგვარების გზები?

— ქვეყანაში დასაქმების დონე ბიზნესის აქტივობის ფუნქციაა. სახელმწიფოს მოვალეობაა შექმნას სათანადო პირობები, რათა წარმოების სფეროში საინვესტიციო პროცესები გაფართოვდეს, სახელმწიფო საკუთრების საწარმოებში ახალი სამუშაო ადგილები აამოქმედოს, უზრუნველყოს ისინი საჭირო ენერგეტიკული სანედლეულო რესურსებით. იმედი გვაქვს, რომ დსთ-ს ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით აღდგება დარღვეული საწარმოო კავშირები, რამაც საგრძნობლად უნდა გაზარდოს დასაქმება, აამოქმედოს გაჩერებული საწარმოები. ამასთან ერთად, დასახვეწია უმუშევართა სოციალური დაცვის მექანიზმი, მათი შრომითი მოწყობის ხელშეწყობის სისტემა.

ამჟამად შრომის სახელმწიფო ბირჟაზე რეგისტრირებულია 72 ათასამდე უმუშევარი, რაც, სამწუხაროდ, ვერ ასახავს რესპუბლიკაში უმუშევრობის რეალურ სურათს. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის არსებული ვითარების მეტ-ნაკლებად ღრმა ანალიზი, ზოგიერთი ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო, შეუძლებელია. საკმაოდ დიდია ფარული უმუშევრობის წილიც. თუ შრომითი რესურსების კრებსითი ბალანსის მაჩვენებლებს დავეყრდნობით, რაც რეალობასთან უფრო ახლოა, ამჟამად რესპუბლიკაში ნახევარი მილიონი უმუშევარია, აქედან გამომდინარე, უმუშევრობის დონე 16 პროცენტს შეადგენს. ამ სფეროში კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებით მომზადებულია და განიხილება კანონი დასაქმების შესახებ და კანონი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ, აგრეთვე სხვა სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დასაქმების პრობლემების მოგვარებას. ეს რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს. მეორე მხრივ, უმუშევრობის შესამცირებლად გათვალისწინებულია მრავალი ღონისძიება. კერძოდ: საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაცია, მოსახლეობის სოციალურად ნაკლებად დაცული ჯგუფებისათვის სამუშაო ადგილების კვოტების დაწესება, საწარმოებში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის წახალისება, ქალაქიდან სოფლად შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციის საკანონმდებლო, საფინანსო-საკრედიტო და საგადასახადო ხელშეწყობა და სხვა. ამის გარდა, უმუშევართა დასაქმებას ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში მიმდინარე პრივატიზების პროცესი და სხვა ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც საგრძნობლად გამოაცოცხლებს კერძო სექტორს. ეს კი თავის მხრივ ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ერთობლივი საწარმოების შექმნა, ასევე წარმოქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის სრულყოფისა და ფინანსური ბაზის განმტკიცების პირობებში დაუსაქმებელთა რიცხვს შეამცირებს გადამზადების პროცესში უმუშევართა გარკვეული კონტინგენტის მუდმივი არსებობა, აგრეთვე სხვა ქვეყნებში რესპუბლიკის სამუშაო ძალის ორგანიზებული მიგრაცია. ასეთი მიგრაცია დასაშვებია, მთავარია მისი ორგანიზაცია.

— **გთხოვთ, მაპატიოთ შეკითხვაზე, რომელიც შეიძლება ახირებულად მიიჩნიოთ. კორუფციამ გამოხრა ქვეყანა. მაფიური კლანები მძლავრად დამკვიდრდნენ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.**

ერთნი ამბობენ, დღემდე მაფიის წინააღმდეგ მკვეთრი ნაბიჯებისგან თქვენი თავშეკავება მოსალოდნელი ძლიერი შეტევის წინა პაუზააო, მეორენი — მაფიას საბოლოოდ შეურიგდაო.

რა წვლილი მიუძღვის ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირეში მომძლავრებულ მაფიას და როგორ აპირებთ მისი კლანებისაგან ქვეყნის გამოხსნას?

— რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. უკვე ვთქვი, რომ ბიუჯეტში შემოსული გადასახადების მოცულობა შიდა მთლიანი პროდუქციის 3-5 პროცენტს შეადგენს. რას მეტყველებს ეს მაჩვენებელი? გადასახადის გადამხდელი თავს არიდებს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ამას ხელს უწყობენ ის [illegible], რომლებიც არ გამოსულან ბიუროკრატიული ცენტრალიზმის ტყვეობიდან და ხშირად გადასახადებისა და სხვა გადასახდელების ნაცვლად ანგარიშსწორებათა განხორციელებისათვის ხელოვნურად შეკოწიწებულ მექანიზმებს გვთავაზობენ. ეს ყველაფერი კი ჩვენს განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების უყაირათო ხარჯვას იწვევს. შესაბამისად, ჩნდება ქურდობისა და დატაცების შესაძლებლობები. ხელმრუდე ხალხი ამას წარმატებით იყენებს.

მთავარი მაინც ის არის, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით დემოკრატიულ პირობებში ცხოვრების წესი, სუსტია ჩვენი სამართლებრივ-იურიდიული ნორმები.

საერთოდ კი ორგანიზებულ ეკონომიკურ დანაშაულს — მაფიას, უკომპრომისო ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ, როგორც სამართალდამცავი მექანიზმების ეფექტიანობის ზრდით, ასევე ეკონომიკური მეთოდებით. ჩვენში ჯერჯერობით კვლავ საკმაოდ დიდია ე. წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის" როლი. ადრე მას ტოტალური აკრძალვების სისტემა იწვევდა, დღეს კი, თავისუფალი მეწარმეობის პირობებში, მას არავითარი გამართლება არ უნდა ჰქონდეს. ამა თუ იმ საქონლის ბაზარზე მონოპოლური მდგომარეობის დამკვიდრება და ფასების კარნახი, შემოსავლების დაფარვა, ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების დაუცველობა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კორუფცია — ეს ის ხორცმეტებია, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება ვეღარ აიტანს. ჩვენ არ გვჭირდება მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების გამოგონება — ეს საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენ მარტო ტენდენციების აღმოსაფხვრელად გვჭირდება ერთობლივი საზოგადოებრივი ნებისყოფა.

საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ მაფიური კლანების წარმოშობა ერთი სისტემიდან მეორეში გარდამავალი ეტაპის თანმდევი პროცესია. ბრძოლაც არ არის იოლი. ხშირად კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისკენ ყველაზე მეტად კორუმპირებული ადამიანები მოუწოდებენ.

სამართალდამცავ ორგანოებთან ამასწინანდელ თათბირზე მე დანაშაულის და, განსაკუთრებით, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე ვილაპარაკე. ასეთი ეტაპი სავსებით შესაძლებელია. შესაძლებელია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავებაც, ამ საკითხთან დაკავშირებით კანონის მიღებაც აუცილებელია.

— **გაძვირდა ბენზინი. მძღოლებმა შესაბამისად გააძვირეს მგზავრობის ღირებულება, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ რუსულ რუბლზე მომუშავე კომერციულ მარშრუტებს (სახელმწიფო მარშრუტები თითქმის გაქრა), გარკვეული დროის შემდეგ შესაძლებელია ბენზინის ფასმა დაიწიოს, მაგრამ მგზავრობის ფასს არავინ შეამცირებს. ყოველივე კი შეუძლებელს ხდის მიმოსვლას, არა მარტო რაიონებში, — ქალაქშიც.**

როდის იქნება ხელმისაწვდომი ტრანსპორტით მგზავრობა?

— მგზავრობის ხელმისაწვდომობა საერთო ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღებას უკავშირდება. ბენზინის ფასები კი მსოფლიო დონეს უახლოვდება, რაც სახელმწიფო სტრუქტურების ნაკლებკონკურენტუნარიანობის პირობებში ნახტომისებურად ხდება და ცნობილ სიძნელეებს იწვევს. არ არის გამორიცხული უპატიოსნო კონკურენცია, რის წინააღმდეგ ბრძოლას სახელმწიფო წესრიგის განმტკიცება სჭირდება.

ტრანსპორტის მდგომარეობა მინისტრთა კაბინეტის სპეციალური მსჯელობის საგანი გახდება. ამ სფეროში დიდი ძვრებია მოსალოდნელი. შესაძლებელია ენერგომატარებლების, კერძოდ, ბენზინის, კერძო სტრუქტურების მიერ უფრო გაბედულად შემოტანა, გაჩნდება უფრო მეტი კერძო მანქანა, მათი გაერთიანებანი. საჭიროა ხელი შევუწყოთ ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, ასეთი კონკურენცია ამ სფეროში ნორმალურ ვითარებამდე მიგვიყვანს. ბოლოს და ბოლოს, არის საშუალება საკუთარი ნავთობის წარმოების გადიდებისთვისაც ვიზრუნოთ, ასეთი ზომები მიღებულია.

— **როგორ აფასებთ სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომისიის მუშაობას?**

— ისე, როგორც სხვა კომისიებს, ამ კომისიასაც მართებს კანონშემოქმედებითი მუშაობის გაძლიერება. შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და აღნიშნულ კომისიაში შეიტანა კანონპროექტები: „სამუშაო დროის შესახებ", „შვებულების შესახებ", „კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ", „შრომის ანაზღაურების შესახებ", „დასაქმების შესახებ", „მინიმალური ხელფასის შესახებ". დღემდე [illegible] პარლამენტის სხდომაზე განსახილველად არ გატანილა.

შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობით უკმაყოფილო ვარ. შეზღუდული რესურსების პირობებშიც კი, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ინტერესებისათვის მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

— **ბატონო ედუარდ! არის პარლამენტის სხდომათა დარბაზი, თქვენი სათათბირო ოთახი და სკამებით გარშემორტყმული ეს მაგიდა, სადაც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ, რაც იმას მეტყველებს, რომ ყველაფერი კოლეგიურად უნდა წყდებოდეს. რატომღა არის გავრცელებული აზრი, რომ თითქოს თქვენ ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტთ?**

— ასეთი აზრი პოლიტიკური დაპირისპირების გამოძახილია, პოლიტიკური ბრძოლის არც ისე ღირსეული მეთოდი, რომელსაც ოპოზიცია იყენებს. სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები ხორციელდება მისთვის კანონითა და პარლამენტის მიერ მინიჭებული უფლებების ფარგლებში. ცხადია, თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრების მრავალი საკითხი ყოველთვის საყოველთაო რეფერენდუმის გზით ან თუნდაც პარლამენტის სხდომაზე ვერ გადაწყდება. ამიტომ არის ცივილიზებულ საზოგადოებაში ხელისუფლების დაყოფა.

ამავე დროს ის საკითხებიც, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციაში შედის ხელმოსაწერად, მხოლოდ კალმის ერთი მოსმით როდი წყდება! ყველა უწყება, სამინისტრო, ეკონომიკური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი მუშაობდნენ სახელმწიფოს მეთაურის მიერ დამტკიცებული დაზუსტებული ანტიკრიზისული პროგრამის შესამუშავებლად. ამ პროგრამით განსაზღვრული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დაჩქარების ღონისძიებების მაისის ბოლოს, ბრძანებულებით გაფორმებას წინ უძღოდა რესპუბლიკური თათბირი პრივატიზაციის პრობლემებზე, სადაც პრინციპული დებულებები ჩამოყალიბდა. ამ დებულებების საფუძველზე მომზადებული ბრძანებულების პროექტი მოიწონა მინისტრთა კაბინეტის სხდომამ. იგი სამჯერ განვიხილეთ ჩემთან სამუშაო თათბირზე მეცნიერების, მეწარმეებისა და სახელმწიფო ორგანოთა სპეციალისტების მონაწილეობით.

სულ ცოტა ხნის წინათ შევხვდი საბანკო დაწესებულებათა მუშაკებს, ამ შეხვედრაზე გამოიკვეთა საბანკო სისტემის საქმიანობის სრულყოფის პრობლემები, რომელთა გადასაწყვეტად მზადდება ჩემი ბრძანებულება ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების, სამთავრობო სტრუქტურათა მუშაკების მონაწილეობით. განა ეს ერთპიროვნული გადაწყვეტილებაა?

იყო შემთხვევები, როცა მე ერთპიროვნულად მივიღე ესა თუ ის გადაწყვეტილება, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი პარლამენტის, განსაკუთრებით, მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერაში. კერძოდ, ეს ეხება ესენგეში შესვლის საკითხს, რომლის გაჭიანურებას ქვეყნის, სახელმწიფოსთვის მომაკვდინებელი შედეგი მოჰყვებოდა.

ასეთი გადაწყვეტილებების მიღება მძიმე ხვედრია და იგი არ შეიძლება სისტემად იქცეს. ლაპარაკია ისტორიულ გამონაკლისზე, როცა შესაბამისი უფლებითა და მოვალეობით აღჭურვილი ხელისუფალი დღევანდელ და მომავალ თაობათა წინაშე მის წილ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. ყოველივეს განმსჯელი ღმერთია.

— **ამას წინათ თქვენ მიიღეთ გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს-ბუტროს გალის წერილი. იგი 1995 წლის 11-12 მარტს გიწვევთ კოპენჰაგენში სოციალური განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ მსოფლიოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე. როგორც წერილშია აღნიშნული, იქ განიხილება სამი ძირითადი პრობლემა: სიღარიბის შემცირება და აღმოფხვრა, სამუშაო ადგილების შექმნა და სოციალური ინტეგრაციის გაძლიერება. ყოველივე კი იმას მეტყველებს, რომ სოციალური სფეროს ეს უმწვავესი პრობლემები საყოველთაო გამხდარა, გლობალური მნიშვნელობა შეუძენია და როგორც ბატონი ბუტროს-ბუტროს გალი ამბობს: „მსოფლიოში სოციალური დაძაბულობისადმი ინერტულობამ შეიძლება მძიმე პოლიტიკურ შედეგებამდე მიგვიყვანოს".**

როგორ მიგაჩნიათ, რა უნდა გაკეთდეს ამ მსოფლიო მნიშვნელობის კონფერენციამდე თითოეულ ქვეყანაში ასეთი მძიმე პოლიტიკური შედეგების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის საქართველოში, სადაც სოციალურმა კრიზისმა თითქმის კულმინაციას მიაღწია?

— ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა განვითარების ყოველ ეტაპსა და დონეზე შეძლოს სოციალურ სამართლიანობასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის შენარჩუნება. ამ თანაფარდობის დარღვევა იწვევს ან ეკონომიკის დაცემას, ან სოციალური უსამართლობით გამოწვეულ დაძაბულობას, რამაც ბატონ ბუტროს-ბუტროს გალის სიტყვებით რომ ვთქვათ, მართლაც, შეიძლება მძიმე პოლიტიკური შედეგები შვას.

დღევანდელი მსოფლიო ინტეგრაციული პროცესის გაღრმავების პირობებში თითოეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმი ხილული თუ ფარული ძაფებით სულ უფრო უკავშირდება ერთმანეთს, ძლიერდება ურთიერთზეგავლენის ხარისხი. ასე რომ, თუნდაც ყველაზე განვითარებული ქვეყანა, სადაც ზემოთ აღნიშნული ოპტიმუმის დაცვას მძლავრი სახელმწიფო მანქანა სხვადასხვა პროგრამებით, დამცავი და მარეგულირებელი მექანიზმების მეშვეობით იოლად ახერხებს, გარკვეულწილად განიცდის სხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობის ზეგავლენას.

ამიტომ არ შეიძლება რომელიმე ქვეყანას, თუნდაც ზესახელმწიფოდ წოდებულს, თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, არ აწუხებდეს ყველაზე პატარა ქვეყანაშიც კი არსებული სოციალური პრობლემა.

ამიტომაც არის, რომ სიღარიბის შემცირების, სამუშაო ადგილების შექმნის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემების სრულყოფის პრობლემები, მათი შესაბამისი პროგრამები, სულ უფრო სცილდება რომელიმე ცალკე აღებული ქვეყნის შიდა პრობლემათა რიგს და საერთაშორისო ხასიათს იძენს. ეს განაპირობებს კოპენჰაგენის შეხვედრასაც.

რა უნდა გაკეთდეს ჩვენს ქვეყანაში და რით უნდა წარვსდგეთ ამ შეხვედრაზე? ალბათ, უნდა მივაღწიოთ ელემენტარულ სტაბილურობას, სახელმწიფოს მომძლავრებას იმ დონეზე მაინც, რომ მან შეძლოს სოციალური სამართლიანობის თუნდაც მინიმალური პირობების შექმნა, შედარებითი გათანაბრებისა და გადანაწილებითი ფუნქციების მიხედვით ზომების ამოქმედება-შესრულება, მათი ხელშეწყობით პროგრამების შემუშავება, საჭირო მექანიზმების დანერგვა, რათა შესაძლებელი გახდეს ჩვენში არსებული სოციალური უზრუნველყოფის სისტემის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) მსოფლიოს სოციალური ინტეგრაციის პროცესებში ჩაბმა.

— **და მაინც, გვეშველება რამე, გადავრჩებით?**

— რომ გადავრჩეთ, ბეწვის ხიდზე უნდა გავიაროთ. ეს შესაძლებელია. ახლა მთავარია არ შევდრკეთ, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, ერთმანეთი დავინდოთ.

ყველგან, სადაც მიხდება ყოფნა, ეს კითხვა მესმის: „გვეშველება რამე? გადავრჩებით?" პროგრესული მსოფლიო მხარში გვიდგას, გვეხმარებიან, გვამხნევებენ, მხარს გვიჭერენ. ისტორიული მნიშვნელობა აქვს შემობრუნებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. გარემო პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხელსაყრელია.

დღევანდელი ჩვენი ძნელბედობის მიზეზი პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ. ჩვენ ნგრევის და გაპარტახების, ერთმანეთის წაკიდების საშინელი გზა განვვლეთ. ახლა იწყება აღმშენებლობა, ცოცხლობს და ბობოქრობს ქართული სული, იგი არ მომკვდარა და არც მოკვდება. ჩვენ წინაპრებს უფრო მძიმე განსაცდელიც უნახავთ. სამშობლოს სიყვარულს, ქვეყნისთვის თავდადებასა და თავგანწირვის ნიჭს არაერთგზის უხსნია თითქმის დაღუპვის პირას მისული ერი. ჩვენს დიდ წინაპრებს არაერთი გადაწყვეტილება მიუღიათ ისეთი, რომელიც თანამედროვეთა გაკვირვებასა და წინააღმდეგობას იწვევდა. ჩვენც ასეთ პირობებში ვართ. გარწმუნებთ: ჩვენი ბედი ჩვენვე გვეკუთვნის, ე. ი. ჩვენვე ვართ პასუხისმგებელი ყველაფრისათვის, რაც ჩვენში ხდება. ეს უნდა გაითავისოს ყველა მოქალაქემ, რომელი ერის შვილიც უნდა იყოს იგი, რომელ პარტიას და მიმდინარეობასაც უნდა ეკუთვნოდეს.

აღმშენებლობა უფრო რთული ხელოვნებაა, ვიდრე ნგრევისა და გაპარტახების გზა. იმ ბნელეთში, რომელშიც აღმოვჩნდით და რომელსაც მე პროვინციული ფაშიზმი ვუწოდე, ჩვენ აღარ ჩავეშვებით, ნურავინ ცდილობს ამას.

საქართველო ღვთისწილხვედრი ქვეყანაა. მას გადაშენება არ უწერია. ღრმად მწამს, რომ ახალ, თავისუფალ, დამოუკიდებელ და ბედნიერ სახელმწიფოს ავაშენებთ.

ასე სჯერა ისტორიის გზაჯვარედინზე მდგარ სახელმწიფოს მეთაურს, თუნდაც იმიტომ, რომ იცის, ყოველი საფრთხე ნაკლებ საშიშია, თუ მისი გამომწვევი მიზეზები იცი. სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების დაუცხრომელი ძიება კი იმის თავდებია, რომ ჩვენი საქმე გამოსწორდება, რომ ის, რაც დაკარგულად გვეჩვენება, ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია...

გარეთ გამოსულმა ტროტუართან ამოხეთქილ ასფალტში შევნიშნე, დავაკვირდი: ნაპრალში მწვანე ბალახს ამოეყო თავი. უძლეველია ცხოვრების ძალა...

ესაუბრა
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინფორმაცია

გულისტკივილით

საზოგადოება „საქართველო-ისრაელი“ გამოთქვამს თავის გულისტკივილს იმ შემაძრწუნებელი ფაქტის გამო, რომელიც მოხდა 18 ივლისს არგენტინაში და რომელსაც მოჰყვა დიდი მსხვერპლი — ბუენოს-აირესის ებრაული კულტურის ცენტრის აფეთქების შედეგად დაიღუპა 80 ებრაელი მოქალაქე, დაიჭრა 150.

საზოგადოება „საქართველო-ისრაელი“ თანაგრძნობას უცხადებს არგენტინისა და მთელი მსოფლიოს ებრაელობას.

საზოგადოება „საქართველო-ისრაელის“ პრეზიდიუმი.

შეიქმნა „კათარზისის“ რეგიონული განყოფილება

დაფუძნდა საქველმოქმედო საზოგადოება „კათარზისის“ კახეთის რეგიონული ორგანიზაცია, რომლის მიზანია მარტოხელა, ინვალიდი მოხუცების, აგრეთვე მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სათნოების სახლების ჩამოყალიბება.

როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარემ მალხაზ არუდაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, უახლოეს მომავალში საზოგადოების რეგიონული ორგანიზაცია „კათარზისის“ საერთაშორისო ასოციაციიდან მიიღებს ჰუმანურ დახმარებას — მედიკამენტებსა და საკვებ პროდუქტებს, რომელთა განაწილება დანიშნულებისამებრ მოხდება.

გურამ სოჭაშვილი.

„დინამო“ და სხვანი...

როგორც ცნობილია, ოთხშაბათს ჟენევაში გაიმართა ფეხბურთში ევროპული ტურნირების წილისყრა. გთავაზობთ ამ წილისყრის შედეგებს უეფას თასზე, რადგან მასში თბილისის „დინამო“ მონაწილეობს.

„დინამო“ (თბილისი, საქართველო) — „უნივერსიტატეა“ (კრაიოვა, რუმინეთი);
„სლავია“ (პრაღა, ჩეხეთი) — „კორკ სიტი“ (ირლანდია);
„მოზერუელი“ (შოტლანდია) — „ჰავნარი“ (ფარერები);
„კოპენჰაგენი“ (დანია) — „იაცი“ (ფინეთი);
„პორტდაუნი“ (ჩრდ. ირლანდია) — „სლოვანია“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი);
„ბანგორ სიტი“ (უელსი) — „აკრანესი“ (ისლანდია);
„მიუპა-47“ (ფინეთი) — „ინტერი“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი);
„ოდენსე“ (დანია) — „ფლორა“ (ტალინი, ესტონეთი);

„ლილესტრომი“ (ნორვეგია) — „შახტიორი“ (დონეცკი, უკრაინა);
„[illegible]“ (ფარერები) — „ტრელებორგი“ (შვედეთი);
„გურნიკი“ (ზაბჟე, პოლონეთი) — „შემროკ როვერსი“ (ირლანდია);
„რომარი“ (მაჟეიკიაი, ლიტვა) — ა. ი. კ. (სტოკჰოლმი, შვედეთი);
„ჰაფნარფიორდური“ (ისლანდია) — „ლინფილდი“ (ჩრდ. ირლანდია);
„სკონტო“ (რიგა, ლატვია) — „აბერდინი“ (შოტლანდია);
„ინტერი“ (კარდიფი, უელსი) — გ. კ. ს. (კატოვიცე, პოლონეთი);
„რუსენბორგი“ (ნორვეგია) — „გრევენმახერი“ (ლუქსემბურგი);
„არაუ“ (შვეიცარია) — „მურა“ (სლოვენია);
„ანორთოსისი“ (კვიპროსი) — „ბოტევი“ (ბულგარეთი);
„ვარდარი“ (მაკედონია) — „ბეკეშჩაბა“ (უნგრეთი);
„ოლიმპია“ (ლუბლიანა, სლოვენია) — „ლევსკი“ (ბულგარეთი);
„ფენერბაჩე“ (თურქეთი) — „[illegible]“ (აზერბაიჯანი);
„ლა ვალეტა“ (მალტა) — „რაპიდი“ (ბუქარესტი, რუმინეთი);
„კიშპეშტ ჰონვედი“ (უნგრეთი) — „ზიმბრული“ (კიშინიოვი, მოლდოვა);
„არარატი“ (ერევანი, სომხეთი) — ც. ს. კ. ა. (სოფია, ბულგარეთი);
„დინამო“ (მინსკი, ბელარუსი) — „ჰიბერნიანსი“ (მალტა);
„ტეუტა“ (ალბანეთი) — „აპოლონი“ (კვიპროსი);
„არისი“ (სალონიკი, საბერძნეთი) — „აპოელი“ (ბერ-შევა, ისრაელი).

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება

შოთა ინწკირველი

უნივერსალი

პეტერბურგელი არვიდ კუბელი (1889-1938 წ. რეპრესირებული) ოსტატი და საჭადრაკო კომპოზიტორი, რომლის ორი მომდევნო ძმა ძირითადად კომპოზიციაში მოღვაწეობდა, წარმატებით გამოდიოდა საკავშირო ჩემპიონატებში. 1925 წლის პირველობაზე ოსტატის წოდება და ლამაზი პარტიისათვის პრიზი მოიპოვა:

ა. კუბელი



დუზ ხოტიმირსკი

შევისწავლოთ პოზიცია: თეთრი მეფე მომწყვდეულია პირველ ჰორიზონტალზე (მოტივი). ერთი შეხედვით, პირველ ჰორიზონტალს საიმედოდ (ჭარბად!) იცავს ლაზიერი და კუ, მაგრამ ირკვევა, რომ კუ დაბმულია (მოტივი) და c1-ზე მისი კონტროლი მოჩვენებითია. ამიტომ დაცვის მოვალეობა ლაზიერმა უნდა იტვირთოს, თუმცა ლაზიერს მეორე მოვალეობაც აკისრია — ეტლის დაცვა. მაშასადამე ლაზიერი გადატვირთულია. ეს მოტივი, რომელიც წინა მოტივებმა აღმოაცენეს, იდეის საფუძველია, ესე იგი, განაპირობებს ტაქტიკურ დარტყმას:

31. ... [illegible]!! ეს მომაკვდინებელი [illegible] გათრევის იდეაა.

ამრიგად, მოტივების დადგენა ჩვენს აზროვნებას წარმართავს სასარგებლო მიმართულებით. მოტივი ფაქტობრივად გვკარნახობს იდეას — ტაქტიკურ დარტყმას.

კარგა ხანია შემსწავლელის ყურადღებას მივაპყრობ ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რადგან საჭადრაკო ლიტერატურაში კომბინაციის თეორიაში სრული ქაოსია.

შევავსოთ ისტორია

(ნოდარ დუმბაძის დაბადების დღის გამო)

ნოდარ დუმბაძეს ჭადრაკი უყვარდა, თეორიის ანბანისა კი არა იცოდა რა. სასურველია, ამ ბრწყინვალე პიროვნების ორიოდ პარტია მაინც (თუნდაც წაგებული) დარჩეს ისტორიას. ჩვენი წინაპრებისა არაფერი შემოგვრჩა, მაშინ, როცა ისტორიამ შემოინახა ჟან-ჟაკ რუსოს, ტოლსტოის, ტურგენევის, მარქსის, პროკოფიევის, ოისტრახის, ნაპოლეონისა და სხვათა საჭადრაკო პარტიები.

ინწკირველი-დუმბაძე. თბილისი, 1963 წელი. 11 ქრისტეშობისთვე. ღამის 11 საათი. 1. e4 e6 2. d4 g6 3. h4 კg7 4. h5 gh 5. ეh5 მf6 6. ეg5 ეg8 7. e5 მd5 8. ლg4 მფf8 9. ეg7 ეg7 10. კh6 მფe8 11. ლg7 d6 12. კg5 მe7 13. კe2 მფd7 14. ლf7 b6 15. მc3 კb7 16. კg4 ლe8 17. ლe6 [illegible]d8 18. ed cd 19. მd5 კd5 [illegible]×.



მეორე პარტიაში კი, რომელიც მწერალთა სახლში გათამაშდა, ბრძოლის ბედი ბეწვზე ეკიდა (ფერი ნოდარის სურვილითაა).

ინწკირველი-დუმბაძე. თბილისი, 1979 წელი. 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. მc3 მf6 4. d4 კb4 5. მe5 მe4 6. ლf3 მf6 7. კe3 ლe7 8. კd3 კc3 9. bc მe5 10. de ლe5 11. 0-0 ლc3 12. ეad1 0-0 13. კd4 ლc6 14. ლg3 d5 15. კb5 ლb5 16. კf6 g6 17. ლg5 ლc6 17. ეd4 ეe8 19. ეh4 ეe6 20. ეh7 ეf6 21. ლh6 და შამათი გარდაუვალია.

ზოგი რამ საინტერესო

1990 წლისათვის ჭადრაკის ისტორიაში სარეკორდო რეიტინგი ჰქონდა რობერტ ფიშერს — 2780.

1971 წელს პრეტენდენტთა მატჩებში ფიშერმა ფანტასტიკურ შედეგს მიაღწია — 18,5 ქულა 21 შესაძლებლიდან — მატჩებში ტაიმანოვთან, ლარსენთან და პეტროსიანთან.

1979 წელს გამოქვეყნდა მსოფლიო ჩემპიონთა რეიტინგი: 1. ფიშერი — 2789, 2-3. კაპაბლანკა და კარპოვი — 2725; 4-5. ბოტვინიკი და ლასკერი — 2720, 6. ტალი — 2700, 7-8. ალიოხინი და სმისლოვი — 2690, 9-10. პეტროსიანი და სპასკი — 2680, 11-12. სტეინიცი და ეივე — 2650.

მსოფლიოს უგვირგვინო მეფეთაგან ლიდერია მორფი — 2690. პრეტენდენტებიდან ბრონშტეინი და კერესი — 2670.

გერმანელმა დიდოსტატმა რობერტ ჰიუბნერმა შეავსო შვეიცარიიდან მიღებული ანკეტა და ხელმოწერის ნაცვლად ოთხი ჯვარი დასვა. „გერმანიაში ხელწერის ნაცვლად სამ ჯვარს სვამენ წერა-კითხვის უცოდინარები, — განმარტავს ანკეტაზე დართულ წერილში, — მე თუმცა მაქვს უნივერსიტეტის დიპლომი, თანაც ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ამასთან, ვფლობ მშობლიურის გარდა ინგლისურ, ფრანგულ, ჰოლანდიურ, ფინურ, რუსულ, ლათინურ და ძველბერძნულ ენებს, მიუხედავად ამისა, ვერ გავრკვეულვარ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში და ამიტომ იძულებული ვარ თავი მივაკუთვნო უმეცართა კატეგორიას. ხოლო რაც შეეხება მეოთხე ჯვარს, ის მეტყველებს, რომ მე ვარ არა უბრალო უმეცარი, არამედ ფილოსოფიის უვიცი დოქტორი“.

თენგიზ გეგელია

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ გიორგის ძე გეგელია.

თენგიზ გეგელია დაიბადა 1928 წელს ხონის რაიონის სოფელ პატარა ჯიხაიშში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1966 წელს პროფ. თ. გეგელიამ თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა უწყვეტ ტანთა მექანიკის განყოფილება, რომელიც 1981 წლიდან დღემდე მისივე ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში.

თენგიზ გეგელია იყო მაღალნიჭიერი, ფართო ინტერესების მქონე მკვლევარი, რომელსაც ფუნდამენტური წვლილი აქვს შეტანილი მრავალგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა და დრეკადობის სივრცით ამოცანათა მწყობრი და დასრულებული თეორიების შექმნაში. ქართველი და უცხოელი სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნადაა ქცეული ვ. კუპრაძის, თ. გეგელიას, მ. ბაშელეიშვილისა და თ. ბურჭულაძის მონოგრაფია „მათემატიკური დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“, რომელიც 1968 და 1976 წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა თბილისსა და მოსკოვში, 1979 წელს კი ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოიცა ჰოლანდიაში. 1972 წელს ეს მონოგრაფია აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო პრემიით. 1977 წელს თ. გეგელიას თ. ბურჭულაძესთან ერთად მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ვეკუას სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის „პოტენციალის მეთოდის განვითარება დრეკადობის თეორიაში“, ამჟამად ამერიკის გამოყენებითი მათემატიკის საზოგადოების ინიციატივით ინგლისურ ენაზე იბეჭდება თ. გეგელიასა და მისი მოწაფის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ რ. ჭიჭინაძის მონოგრაფია „უწყვეტ ტანთა მექანიკის სასაზღვრო ამოცანები სფეროსათვის“, დასანანია, რომ ავტორები ვერ მოესწრნენ ამ მონოგრაფიის გამოქვეყნებას.

თ. გეგელიას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებაში. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა 25-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. [illegible] თენგიზს მრავალი [illegible] მოწაფე და მიმდევარი ჰყავს „უცხოეთში“. მას ხშირად იწვევდნენ უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში ლექციების კურსების წასაკითხად და სამეცნიერო ფორუმების ძირითად მომხსენებლად. არჩეული იყო ამერიკის მათემატიკური საზოგადოების, მათემატიკისა და მექანიკის ურთიერთქმედების საერთაშორისო საზოგადოების და ყოფილი საბჭოთა კავშირის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტის წევრად; მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს.

პროფესორი თენგიზ გეგელია იყო ქართული უმაღლესი და საშუალო სკოლების ჭეშმარიტად გამორჩეული მოღვაწე, ბრწყინვალე ლექტორი, მრავალი ორიგინალური სახელმძღვანელოს ავტორი.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მეცნიერი და პედაგოგი, მაღალი პროფესიული და მოქალაქეობრივი თვისებებით შემკული პიროვნება, ხასიათით ენერგიული და შრომისმოყვარე, ყურადღებიანი და მოსიყვარული, პრინციპული და ზოგჯერ დამთმობიც. ასეთი სახით იცოცხლებს იგი მრავალრიცხოვანი კოლეგების, მეგობრების და მოწაფეების მეხსიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი; ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი; ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი; საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი.

ხუმრობა იქით იყოს...



მახვილი თვალით

ბესიკ ზუბაშვილმა 1983 წელს დაამთავრა ცხინვალის სამხატვრო სასწავლებელი და ამჟამად გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში მუშაობს დამდგმელ მხატვრად. მოწონება დაიმსახურა მის მიერ გაფორმებულმა სპექტაკლებმა „ჩემი ცოლის ქმარი“ და „რა ურჩევნია მამულსა“.

სცენოგრაფიასთან ერთად ბესიკ ზუბაშვილი კარიკატურის ჟანრშიც მუშაობს. რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება მისი მახვილგონივრული, ცინცხალი იუმორით სავსე კარიკატურები და შარჟები.

გთავაზობთ ბესიკ ზუბაშვილის რამდენიმე კარიკატურას.

ამ ჩვენ მძიმე დროში ცოტას თუ გაიღიმებთ, უკვე ბევრს ნიშნავს. ამიტომ — უყურებდით და იღიმოდეთ! თუ გაიცინებთ, — უფრო უკეთესი!











ოთხი ბანდიტი დააკავეს

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს დედაქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოში აცნობეს, 22 ივლისს დილით თბილისში, ბახტრიონის ქუჩის ნომერ 8/5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ბინაში შეიჭრა 4 შეიარაღებული ბოროტმოქმედი.

პოლიციის ოპერატიული ჯგუფის მისვლის შემდეგ, ბოროტმოქმედები ბინაში გამომწყვდეულები აღმოჩნდნენ. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია და დედაქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი დემურ მიქაძე. ბოროტმოქმედებმა მძევლად აიყვანეს ოჯახის 5 წევრი და პოლიციას სხვადასხვა სახის ულტიმატუმები წაუყენეს.

მოლაპარაკების შედეგად მძევლები განთავისუფლებული არიან, მსხვერპლი არ არის. ოთხივე ბოროტმოქმედი დააკავეს.

აფეთქება და ხანძარი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 22 ივლისს, 08 საათსა და 40 წუთზე ხანძარი გაუჩნდა ელიაზე მდებარე ყოფილ საარტილერიო პოლკის ყაზარმას, სადაც ახლა დისლოცირებულია შავნაბადას ბატალიონი.

ხანძრის შედეგად აფეთქდა რამდენიმე „ალაზნის“ ტიპის რაკეტა, დამწვარია 500 კვ. მეტრი ფართობის მქონე საწყობი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 66 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უწყვეტ ტანთა მექანიკის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თენგიზ გიორგის ძე გეგელია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სადამ ჰუსეინს თუ გამოვრიცხავთ, რომელი ღარიბ-ღატაკი არაბი ბედუინი გახვრეტს უდაბნოში ნავთობსადენს?!

მართლაც, უტყუარია, რომ თუ მთელმა ხალხმა არ მოინდომა, ძალიან გაგვიჭირდება, ერთდროულად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოც ვაშენოთ და ასეთი სახელმწიფოს შესაფერისი წესრიგიც დავამკვიდროთ.

დემოკრატია წესრიგის სინონიმია. ამ აზრს ალტერნატივა არა აქვს. ამიტომ მიკვირს, ერი, რომელმაც ამდენი იბრძოლა დემოკრატიისა და წესრიგისათვის, ამდენი მსხვერპლი გაიღო, ახლა ასე ხელაღებით უარყოფს ყოველივეს, ასე უარყოფს თავის თავს, თავის თავგანწირულ ბრძოლას.

ხშირად გაიგონებთ, მძიმე დროა, ხალხს უჭირს, ნგრევის ეტაპი ყველა ქვეყანამ გაიარა და ჩვენც უნდა გავიაროთო. ეს მართალია, მაგრამ რატომღაც არსად მსმენია, სამოქალაქო ომებისა თუ დიდი ეკონომიკური დეპრესიების დროს, ამერიკელი ან ინგლისელი მოქალაქე საკუთარ სახლთან თუ ფერმასთან გამავალ ნავთობსადენს გახვრეტდა, ნავთობს მოიპარავდა და გადაამუშავებდა, რათა შემდეგ გზაზე გამოეტანა და მამასისხლად გაეყიდა. თაღლითური და იოლი ცხოვრების გზის მაძიებლები იქაც მრავლად არიან, მაგრამ ყველამ იცის, უპირატესად, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტები და თავმოყვარე ადამიანები სჭარბობენ.

აბა, რომელ უდაბნოში მოხეტიალე ღარიბ-ღატაკ არაბ ბედუინს მოუვა აზრად მსგავსი საქმის კეთება (სადამ ჰუსეინს თუ გამოვრიცხავთ), რომელი გაიმეტებს თავისი ქვეყნის ყველაზე დიდ სიმდიდრეს ქვიშისა და მტვრის ზარქანებში ჩასაღვრელად, ხელის მოსათბობად!

ჩვენები იმეტებენ...

ახლა სიტყვა პოლიციაზეა.

ფაქტია, სადაც მოფერება, შეგონება, ტკბილი სიტყვა არ ჭრის, იქ ძალას იყენებენ.

მკითხველმა იცის, რომ 13-14 ივლისს, კახეთის რვა რაიონსა და გარდაბანს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საკმაოდ მოზრდილი ოპერატიული ჯგუფი ეწვია. მისი მიზანი ტრადიციული დანაშაულობებისა და დამნაშავეების გამოვლენის გარდა, კუსტარულ ნავთობსახდელებთან და მათ პატრონებთან „პირისპირ“ შეხვედრის დიდი სურვილიც იყო. სკეპტიკოსების ჯინაზე, სურვილი სურვილად არ დარჩენილა. მართლაც, ნავთობსახდელს, ამ პრიმიტიულ, მაგრამ საკმაოდ სოლიდური ზომის „დანადგარებს“ ოპიუმის „ჩეკივით“ ვერც საბნის ყურში შეინახავ და ავტომატივით ვერც ჩალის ზვინში ან ვაზის ძირში ამოთხრილ ორმოში გადამალავ!

ვფიქრობ, სწორი იქნება, აქვე, ნავთობის ქართველ მრეწველებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი — „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა შეტანის შესახებ“ (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 122, 1994) — შევახსენო. ამ კანონით, ვინც განზრახ გაანადგურებს ან დააზიანებს ნავთობის ნედლეულს, ნავთობსადენებს, ნავთობპროდუქტებს ან ნავთობგადამამუშავებელ ობიექტებს, აგრეთვე ხელს მიჰყოფს ნავთობის ნედლეულის ან ნავთობპროდუქტების უნებართვოდ რეწვას, კარგა ხანს ვეღარ იხილავს ამ გზით ნაშოვნი ფულით გაშლილ სუფრასთან ცამდე აყვანილი ნადღეგრძელები „საქართველოს მთა-ველებს“.

მკითხველმა ისიც იცის, რომ ერთდღიანი ოპერაციის მსვლელობაში, დემონტირებულია 165 კუსტარული ნავთობსახდელი აპარატი. საქმიანობა დარჩენილი ნავთობსახდელების დემონტაჟისათვის დღესაც მიმდინარეობს და, როგორც გვაცნობს, კვლავაც გაგრძელდება. ამიტომ გონს მოდით, და გახსოვდეთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად, უწინარესად, ადგილობრივ ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებს უნდა ეზრუნათ. ნუთუ ვერ ხედავენ, რომ საავტომობილო გზის ყოველ მონაკვეთზე, თითქმის ყოველ სახლთან საეჭვო ღირებულების საწვავ-საცხები მასალებით სავსე, ეგრეთწოდებული „კანისტრები“ აწყვია, ოჯახაშენებულებო, იმას მაინც ვეღარ ამჩნევთ, რომ მთელ კახეთში, დალოცვილი „კახურის“ ნაცვლად, ნავთობისა და ბენზინის სუნი ტრიალებს, ხალხი ზვრების მოსავლელად იმდენად არა, რამდენადაც მათში გამავალი ნავთობსადენების დასაზიანებლად და ნავთობის მოსაპარად ირჯება?!

ერთად უნდა ვებრძოლოთ

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ქრონიკული ნავთობ-ენერგეტიკული კრიზისის დროს, დეკემბერ-იანვრის სიცივეში, ქართველი გლეხი ბუნების ამ „საჩუქარს“ გაცივებული კერის გასაღვივებლად იყენებს. ეს მხოლოდ კახეთის პრობლემა არ არის. ასეა, დასავლეთ საქართველოს ბევრ რეგიონშიც. ტყე, ქარსაცავი ზოლები (ბევრგან ხეხილის ბაღები) მთლად გაჩეხეს, რაც მსახვრალ ხელს გადაურჩა, წლეულს გაიჩეხება. ბუნებრივია, ამ პრობლემაზეც უნდა იფიქრონ შესაბამისმა ორგანოებმა და სოფლები მინიმალურად მაინც მოამარაგონ საწვავით.

სპეციალური რეგიონული ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება — კოდური სახელწოდებით „კახეთი-გარდაბანი“ — მარტო ნავთობსახდელებით და მათი მეპატრონეებით არ შემოიფარგლა. ხელში ამოვიდა ამდენი ნარკოტიკული ნივთიერება, ნარკომანი, იარაღი..., შესაბამისად, ქურდი, ყაჩაღი, მკვლელი.

დაკავებულთაგან 27 სხვადასხვა საშიში დანაშაულის ჩადენისთვის იძებნებოდა, თვრამეტსაც ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება-რეალიზაცია ედება ბრალად.

პარადოქსია, ქართველი კაცი ვაზის მოვლა-პატრონობის ნაცვლად, კანაფის მოშენებას რომ მიჰყოფს ხელს (ეს ან ბედის ირონიაა, ან... კუდიანი ბედის ვარსკვლავის ხრიკები).

აგერ, ლაგოდეხში პოლიციამ კანაფის ნათესები გაანადგურა, თუმცა ხაშხაშისა თუ კანაფის ნათესების გავრცელების გეოგრაფია მარტო ლაგოდეხით არ შემოიფარგლება. საერთოდ, ეს უპერსპექტივო, „საციხო“ საქმეა, თავის საფრთხეში ჩაგდებად არ ღირს. ამის შესახებ კარგად იციან ახმეტაში, მარნეულში, გარდაბანში, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. სჯობს, ის აკეთოთ, რაც საუკუნეების გამავლობაში თქვენს მამა-პაპას უკეთებიათ. ქარის მოტანილს, ქარი წაიღებს, უთქვამთ...

მართლაც, ქარმა წაიღო.

ამ დღეს, 400 გრამი „ოპიუმი“ და 1,8 კილოგრამი „პაშიში“ ჩამოართვეს ბოროტმოქმედებს, აგრეთვე 24 ავტომატი, 12 დამბაჩა, 18 ხელყუმბარა, 48 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება „ტროტილი“, 15 „სიეს“-ის ბალონი, 11 შაშხანა, სამი რადიოსადგური, ექვსი მოტაცებული ავტომანქანა და ა. შ.

გარდაბანში ერთ კაცს 965 ამერიკული დოლარი და 4,3 მილიონი რუბლი უპოვეს. ის ოთხ გრამ „ოპიუმსაც“ ინახავდა.

როგორც ვარაუდობენ, ეჭვმიტანილმა, სწორედ ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციით დააგროვა სიმდიდრე.

მართლმსაჯულების ანკესზე ერთი ყოფილი პოლიციელიც წამოეგო. მას ნარკოტიკული ნივთიერებებით მოვაჭრეებთან კავშირი ედება ბრალად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლებმა სულ ახლახან, თბილისში, ორი საკმაოდ მაღალი ჩინის პოლიციის ოფიცერი დააპატიმრეს. ისინიც ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებულ დანაშაულებებში იმხილებიან.

ამ დღეს გარდაბანს ერთი ცნობილი ყაჩაღიც მოაცილეს. ნივთმტკიცებები, სამი კონდიციონერის, ორი მაგნიტოფონის, ორი ტელევიზორისა და ავტომატის ვაზნების სახით, თან ერთვის საქმეს.

• • •

ამასობაში, ზოგიერთ თბილისელს კვლავ გაახსენდა, რომ ადამიანის მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით სარისკო, მაგრამ ერთობ „სარფიანი“ საქმიანობაა. არც დაახანეს და ორკვირიანი შესვენების შემდეგ კვლავ გაითამაშეს ეს შუასაუკუნეობრივი დრამა. ერთ-ერთი ფირმის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის გამგე-ოპერატორი მოიტაცეს, სცემეს და 5 ათასი დოლარი მოსთხოვეს.

როგორც ამბობენ, დიდი საქმეა. ახლა ყაჩაღთაგან ზოგი დაკავებულია, ზოგი გაქცეულია... საბოლოო შედეგს მაშინ მოგახსენებთ, როცა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების თანამშრომლები საქმეს მორჩებიან და ყველა დამნაშავეს ამხელენ...

ზაურ მაკარაძე.

P. S. ორშაბათს, დაახლოებით 15 საათზე, ორთაჭალა საშინელი აფეთქების ხმამ გააყრუა. ვერ წარმოიდგენთ, ციხის ტერიტორიაზე პატიმრებმა, მეტად საშიშმა რეციდივისტებმა, ხელყუმბარა ისროლეს. რამდენიმე ადამიანი დაჭრეს და... გაიქცნენ.

ვინ შეაიარაღა პატიმრები?

ვისი ხელშეწყობით მოქმედებდნენ?

მსგავს სიტუაციას ამერიკულ „ბოევიკშიც“ იშვიათად იხილავთ...

ზ. მ.

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი „გაენათი“
პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის პედიატრიულ ფაკულტეტზე ექიმი პედიატრის სპეციალობით (ქართული და რუსული სექტორი).
აბიტურიენტები წერით მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:
ბიოლოგია, ქიმია,
ქართული (რუსული) ენა და ლიტერატურა.
გამოცდებზე დაიშვებიან 33 წლამდე ასაკის საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები.
სწავლა ფასიანია და წარჩინებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას.
საბუთები მიიღება 31 ივლისამდე ყოველდღე (კვირა დღის გარდა), 10-დან 16 საათამდე.
მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 აგვისტოდან.
„ღია კარის“ დღე მოეწყობა 31 ივლისს 11 საათზე.
მისამართი: „გაენათი“, ქეთევან წამებულის 55 (მეტრო „300 არაგველი“), ტელ: 74-21-92,
პედიატრიის ს. კ. ინსტიტუტი — მელიქიშვილის 4,
ტელ: 22-16-53.
რექტორატი

საქართველო-თურქეთის ევროპული კომერციული ბანკი
eurobank
„ევრობანკი“
აგრძელებს სავალუტო ანაბრების მიღებას აშშ დოლარებში შემდეგი პირობებით:
✦ სამთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის ყოველთვიური გატანით — თვეში 5%.
✦ სამთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის სამი თვის შემდეგ გატანით — თვეში 7%.
✦ ექვსთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის ყოველთვიური გატანით — თვეში 6%.
✦ ექვსთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის ექვსი თვის შემდეგ გატანით — თვეში 8%.
იურიდიულ და კერძო პირებს ბანკი გთავაზობთ ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურებას.
ერთობლივი ბანკის სოლიდური საწესდებო კაპიტალი თქვენი ანაბრების საიმედო გარანტიაა.
ჩვენი მისამართია:
ქ. გამსახურდიას გამზ. 25.
ტელ: 22-16-07, 22-04-11, 37-42-17.

რეკლამები დამზადებულია ფირმა „[illegible]“ კომპიუტერულ ცენტრში.
ტელ: 93-15-00

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible].